



♦♦♦♦♦  
**ფ ა ს ი**  
♦♦♦♦♦  
კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.  
სახელმწიფო დაწეს. 7.000 მანეთი.

წელიწადი  
მეორე

# მთაბე

შაბათი,  
მარტის 25.  
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 30

ყოველ კვირეულ ორგანო.

№ 30

## მიიღება ხელის მოწერა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველ კვირეულ ჟურნალ

### „მთაბე“-ზე

1922 წლის პირველ იანვრიდან ჟურნალი თვიურად ეღირება პარტიულ, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებათათვის თვეში 28,000 მანეთი, (ცალკე ნომერი 7,000 მ.),  
კერძო პირთათვის თვეში 40,000 მან. (ცალკე ნომერი 10,000 მან.).

ჟურნალში მოსათავსებლად მიიღება განცხადებანი, ღირსეულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, აგრედვე კერძო პირთაგან.

**ეგვალ-მოქალაქე ვალდაბულია „მთაბე“-ში მოათავსოს განცხადება პირადობის დაგამტკიცებელ მონაშობის დაპარკვის შესახებ.**

ჩედაქცია ღიაა დღის 8 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

ჩედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ვანგულოვის ქ. № 1. (ყოფ. — კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6--90.



# ოფიციალური განყოფილება

## დოკრასი № 89

ს.ქ. სოც. ს.ბ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა  
მუშათა და გლეხთა მიჯაჭობის შესახებ (დებულება).

### საერთო ნაწილი

#### მილიციის ორგანიზაცია

1. მუშათა და გლეხთა მილიცია იმყოფება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მის ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში.

2. მუშათა და გლეხთა მილიციის შედგენილობაში შედის: ა) ქალაქისა და მაზრის მილიცია, ბ) რკინისგზის მილიცია, გ) წყლის მილიცია, დ) სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია და ე) მარქათა რაზმი, არსებულ მილიციის მთავარ სამმართველოსთან.

3. მუშათა და გლეხთა მილიციას, როგორც შეიარაღებულ სამხედრო ორგანიზაციას, მიეკუთვნება მნიშვნელობა საგანგებო დანიშნულების შეიარაღებულ ნაწილისა, აქედან გამომდინარე უფლებათა და მოვალეობით.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის უზენაეს სამხედრო ორგანოს უფლება აქვს მომქმედ ჯარში გაიწვიოს ომის რაიონებში მყოფი მილიცია; ხსენებული რაიონებიდან ომის სხვა ადგილზე გადატანისას მილიცია დაუყოვნებლივ დაუბრუნდება თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულებას.

4. მუშათა და გლეხთა მილიცია შესდგება: უფროსი და უმცროსი მილიციონერებისა, საკომანდო შედგენილობისა, სისხლის სამართლის მაძიებელი აგენტებისა და საკანცელარიო და სატექნიკო პერსონალისაგან.

5. მილიციაში სამსახური ნებაყოფლობითია, ხოლო მილიციის სამსახურში შესული პირი ვალდებულია იმსახუროს არა ნაკლებ ერთი წლისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში მილიციის შესავსებად შეიძლება გამოცხადებულ იქნეს მობილიზაცია, რომლის წესსაც შეიმუშავებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი სათანადო უწყებებთან შეთანხმებით და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასტურით.

**შენიშვნა:** სამხედრო უწყებას არ შეუძლიან მილიციაში მომუშავენი გაიწვიოს მომქმედ ჯარში იმ წესის გარეშე, რომელიც ნაჩვენებია ამა დეკრეტის მესამე მუხლის შენიშვნაში, გარდა საკანცელარიო და სატექნიკო პერსონალისა და აგრეთვე სისხლის სამართლის მილიციის მაძიებელ აგენტებისა, რომელთა გაწვევა მომქმედ წითელ ჯარში გადასწყდება საერთო წესით.

6. მილიციის სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი პირნი: ა) ხნოვანობით არა ნაკლებ 21 წლისა და არა უმეტეს 45-სა, გარდა კანცელარიის მოსამსახურეთა, რომელნიც შეიძლება უფრო მცირე ხნისანი იყვნენ, ხოლო არა ნაკლებ 18 წლ. ბ) წერა-კითხვის მკოდნე; გ) საბჭოებში საარჩევნო უფლების მქონე; დ) ვინც არ ყოფილა სამართლის გამოძიების ქვეშ; ე) სრულიად ჯანსაღი და სამსახურისათვის გამოსადეგი; ვ) წითელ-არმიელი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ომში და და მომქმედ ჯარიდან დაბრუნებულია სამკურნალო დაწესებულებაში ან სამსახურისაგან განთავისუფლებული ქრილობისა და ავადმყოფობისა გამო, უკეთუ ქრილობისა და კანტუზიას ბნელის ხასიათი არა აქვს; ასეთი ავადმყოფი სამსახურში არ მიიღება.

**შენიშვნა:** მილიციელს მიიღებს სამსახურში ქალაქისა და მაზრის მილიციის უფროსი, რკინისგზისა და წყლის მილიციაში — სარაიონო მილიციის უფროსი, ხოლო მარქათა რაზმში — რაზმის უფროსი.

7. მილიციაში შემოღებულია სავალდებულო სამხედრო სწავლება, იმ ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ოცეულის კომანდირებისათვის, აგრეთვე სამხედრო დისციპლინა და სასტიკი დაქვემდებარება; ამ მხრით მილიცია ხელძღვანელობს იმ წესებსა და დადგენილებებს, რომელიც მიღებულია წითელ არმიაში.

**შენიშვნა 1:** მილიციის სამსახურის ცოდნის თეორეტიული და პრაქტიკული განვითარებისათვის და საკომანდო შედგენილობის მოსამზადებლად მილიციის მთავარ სამმართველოსთან არსდება მოსამზადებელი კურსები.

**შენიშვნა 2:** მილიციის უმცროსი საფეხურის საკომანდო შედგენილების მოსამზადებლად რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველოს სამარქათო რაზმთან არსდება სასწავლო კურსები.

8. მილიციის მომარაგება სურსათ-სანოვავით, პროდუქტებით, ულუფით, იარაღით, ტანსაცმელთა და აგრეთვე მილიციელთა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფა სწარმოებს იმავე წესით, რომელიც მიღებულია ჯარში გაწვეულ პირთა მომარაგებისა და უზრუნველყოფისათვის.

**შენიშვნა 1:** მილიციის მოსამსახურეთა კმაყოფის ყველა საჭირო საგნებით დაკმაყოფილება, გარდა ფულადისა სწარმოებს მიღებული საერთო წესით: გაწვეული მილიციელი ამოირცხება მილიციის კმაყოფიდან.

**შენიშვნა 2:** მილიციის ჯამაგირით დაკმაყოფილება სწარმოებს სატარიფო განაკვეთის თანახმად, რომელსაც აწესებს შინაგან



საქმეთა სახალხო კომისარიატის შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

9. მილიციის შეიარაღებას, ტანისამოსს და იარაღის სისტემას აწესებს მილიციის მთავარი სამმართველო.

10. მილიციის საკომანდო შემადგენლობისა და მილიციელთათვის უნდა დაწესდეს განსაკუთრებული ფორმა და გარეგნული განმასხვავებელი ნიშნები, რომელსაც ატარებენ სამსახურის ასრულების დროს. ფორმას შეიმუშავებს მილიციის მთავარი სამმართველო და დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

11. მილიციის შესანახი ხარჯები უნდა გაღებულ იქნეს საერთო სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

**შენიშვნა 1:** რკინისგზის მილიციის მოსამსახურეს ენიჭება ყველა ის უფლება, რომელიც აქვს რკინისგზის სხვა მოსამსახურეს. ამასთანავე რკინისგზის სამმართველოს მიერ სარაიონო მილიციას მიეცემა ბინა, გათბობა-განათება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კრედიტის ანგარიშში.

**შენიშვნა 2:** სარაიონო მილიციის უფროსის კანცელარია და მორიგეთა ოთახები სადგურებზე მოწყობილ უნდა იქნეს საქირო ინვენტარით და გათბობა-განათებით რკინისგზის სამმართველოს ხარჯზე.

**შენიშვნა 3:** წყლის მილიციის სამმართველოს უნდა მიეცეს ბინა, ავეჯეულობით, ინვენტარით და გათბობა-განათებით, ნავთსადგურის აღმინისტრაციის მიერ.

**შენიშვნა 4:** რკინისგზების სამეურნეო მილიცია (დარაჯები) სამსახურისა და დისციპლინის მხრით ექვემდებარება რესპუბლიკის რკინისგზების მილიციის სამმართველოს, ხოლო ყოველგვარ საჩივს და კმაყოფას მიიღებს რკინისგზის სამმართველოსაგან.

12. მილიციის მოსამსახურე თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებელია: ა) დისციპლინარული წესით, თანახმად სადისციპლინო სასჯელის წესდებისა, რომელიც შემუშავებულ იქნება მილიციის მთავარ სამმართველოს მიერ სამხედრო უწყების სადისციპლინო წესდების მიხედვით; ბ) სასამართლოს წესით, თანაბრად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა, მხოლოდ ჩადენილ დანაშაულობისათვის მიეზღვებათ უმალღესი სასჯელი. სისხლის სამართალში მისაცემად საქმის აღძვრა მილიციის მოსამსახურეთა დანაშაულობის გამო სწარმოებს საერთო წესით, — წერილობითი განცხადების მიცემით სახალხო სასამართლოში, ან რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალში.

**მილიციის მთავარი სამმართველოს ორგანიზაცია.**

13. რესპუბლიკის მილიციის სათავეში სდგას

რესპუბლიკის მილიციის უფროსი, რომელსაც ნიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

მილიციის მთავარ სამმართველოს სათავეში სდგას მისი უფროსი, რომელსაც მიიღებს სამსახურში რესპუბლიკის მილიციის უფროსი და დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

მილიციის მთავარი სამმართველო მოაწყობს სამმართველოში განყოფილებებსა და ქვე განყოფილებებს, რომელსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

14. მილიციის მთავარ სამმართველოს მოვალეობას შეადგენს: ა) მაზრისა, ქალაქისა, რკინისგზისა და წყლის მილიციის სამმართველოების ორგანიზაცია; ბ) საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტებისა, ბრძნებებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება და განხორციელება; გ) მიღება ყოველგვარი ღონიძებისა რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი მყუდროების დამყარებისათვის; დ) მილიციის მოქმედების ხელმძღვანელობა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში; ე) მილიციის მიმართ ბრძანებათა და განკარგულებათა გაცემა; ვ) სამხედრო გაწვრთნა მილიციელთა და სამხედრო მოქმედების დროს მათი გაერთიანება მებრძოლ ერთეულად, ჯარის ნაწილის მსგავსად; ზ) დისციპლინის განმტკიცება მილიციაში; თ) რევოლიუციონური წესიერების დაცვა რესპუბლიკაში; ი) სისხლის საპართლის დანაშაულობასთან ბრძოლა რესპუბლიკაში; კ) მილიციას მომარაგება თოჯიარაღით, ცეცხლის მსროლელი მასალით, ტანისამოსით, საჭურველით, სურსათ სანოვაგით და სხვა; ლ) მილიცია სამხედრო ნაწილის წარმოება და მისი კონტროლი; მ) ინსტრუქტორობისა და ინსპექტორობის გაწევა და რევიზია მაზრისა, ქალაქისა, რკინისგზისა და წყლის მილიციისა და სამარქაფო რაზმისა; ნ) პარტიული ძალებისა, კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებისა, კლუბებისა და წიგნთსაცავ-საკითხველოების აღრიცხვა და სხვა საინფორმაციო საქმე; ო) მილიციის მოქმედების შესახებ ანგარიშების წარდგენა; პ) მილიციისათვის ანგარიშების შედგენა და აღრიცხვის გამოანგარიშება; ჟ) მილიციის მოქმედების გამო საჩივრების განხილვა და კვლევიძიების მოხდენა; რ) პოლიტიკურ-კულტურული მუშაობის ხელმძღვანელობა მილიციაში; ს) რესპუბლიკის ფარგლებში მომხდარ ბოროტმოქმედებისა და თვალსაჩინო ამბებებს ყოველდღიური და თვიური ანგარიშების წარდგენა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

**შენიშვნა:** „ნ“ და „რ“-ს პუნქტებში აღნიშნული მოვალეობის აღსრულება დაეკისრება მილიციის მთავარ სამმართველოსთან არსებულ პოლიტიკურ სექტორს.

15. თვითეული განყოფილების სათავეში სდგას განყოფილების უფროსი, რომელსაც ნიშნავს და სამსახურიდან ითხოვს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკის მილიციის უფროსის წარდგენის თანახმად.



**შენიშვნა:** განყოფილება დაყოფილია ქვე-განყოფილებად, რომელსაც სათავეში უდგანან უფროსები. ქვე განყოფილების უფროსს მიიღებს სამსაჯურში მთავარი სამმართველო და დაამტკიცებს თანამდებობაზე რესპუბლიკის მილიციის უფროსი, თანახმად განყოფილების უფროსის წარდგენისა.

16. მილიციის მთავარი სამმართველოს ყველა განკარგულება სიტყვა შეუბრუნებლივ უნდა აღსრულდეს მილიციის ადგილობრივ ორგანოს მიერ და ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტს ამ განკარგულებათა შეჩერების უფლება არა აქვს; ამასთანავე თუ რევოლ. კომიტეტი ამ განკარგულებას არ ეთანხმება, შეუძლიან განსაჩივროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. ხოლო განკარგულება სისრულეში მოყვანილი უნდა იქნეს და ძალაში დარჩება, სანამ იგი გაუქმებულ არ იქნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ.

17. მილიციის მთავარ სამმართველოს უფლება აქვს: ა) გადაიყვანოს საქიროებისამებრ მილიციის საკომანდო შედგენილობა და მილიციელები ერთი დარგიდან ან რაიონიდან მეორეში; ბ) ადგილობრივ მილიციელთაგან სხვა და სხვა ნაწილების შედგენა ფრონტზე გასაგზავნად.

მილიციის მთავარი სამმართველოს ბრძანება— „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ითვლება სამხედრო ბრძანებად, რომლის აღსრულებლობას მოჰყვება ისეთივე სასჯელი, როგორც საომარ ბრძანების აღსრულებლობას.

**შენიშვნა:** მაზრის, ქალაქის, რკინისგზის და წყლის მილიციის უფროსებს შეუძლიანთ თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში მათი ქვემდებარე საკომანდო შედგენილობის მოსამსახურენი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაიყვანონ.

**მაზრის, ქალაქის, რკინისგზის და წყლის მილიციის სამმართველოს ორგანიზაცია.**

18. სამაზრო და საქალაქო მილიციის საქმეებს განაგებს მათი სამმართველოები რეგიონის შტაბის უფლებით. უკეთუ სამაზრო მილიციის სამმართველო იმყოფება ქალაქში, სადაც არსებობს ცალკე ქალაქის მილიცია უკანასკნელი შედის სამაზრო მილიციის სამმართველოს შედგენილობაში, რომელსაც ეწოდება: „სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველო“.

**შენიშვნა:** ქ. ქ. ტფილისის, ქუთაისის, ბათუმის და ფოთის მილიცია არ შედის სამაზრო სამმართველოში; ა) ქალაქებში დაარსდება მილიციის ცალკე საქალაქო სამმართველოები იმავე უფლებათ, ვალდებულებით და დაქვემდებარებით, რომელიც ნაჩვენებია დებულებაში სამაზრო მილიციის შესახებ. წყლის მილიციის სამმართველო ექვემდებარება უშუალოდ მილიციის მთავარ სამმართველოს, იმ უფლებით, ვალდებულებით და და-

ქვემდებარებით, რომელიც ნაჩვენებია დებულებაში სარაიონო მილიციის შესახებ.

19. მაზრისა, ქალაქისა, რკინისგზისა და წყლის მილიციის სათავეში სდგანან მათი უფროსები, რომელნიც ვალდებულ არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ მილიციის მოქმედებას თავიანთ რაიონის ფარგლებში. მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსები შედიან წევრებად ადგილობრივ რევოლიუციონური კომიტეტის კოლეგიის შედგენილობაში.

მილიციის სამმართველოს უფროსი ითვლება მილიციის უფროსის მოადგილედ.

20. სამაზრო-საქალაქო რკინისგზისა და წყლის მილიციის უფროსის მოვალეობას შეადგენს: ა) სარაიონო მილიციის სამმართველოს მოწყობა; ბ) ხელმძღვანელობა მათი მოქმედებისა; ბრძანებათა და განკარგულებათა გაცემა მილიციისადმი, დ) სამხედრო სწავლების წარმოება და მილიციელთა გაერთიანება სამხედრო მოქმედებისათვის შეიარაღებულ ძალის მსგავსად; ე) დაწესება და განხორციელება სათანადო ზომებისა დისციპლინის განსამტკიცებლად; ვ) სარევოლიუციო წესის დაცვა; გ) სისხლის სამართლის ზოროტმოქმედებასთან ბრძოლა; თ) აღრიცხვა პარტიული ძალებისა და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებისა, მაგალ: კლუბები, სამკითხველოები და სხვა ინფორმაცია; ი) სამნეო ნაწილის წარმოება და მისი კონტროლი; კ) სარაიონო მილიციის სამმართველოს რევიზია და ინსტრუქტორობის გაწევა; ლ) მილიციის მოქმედებისა და მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ პერიოდულ ანგარიშების წარდგენა მილიციის მთავარ სამმართველოში; მ) აღრიცხვის შედგენა; ნ) მილიციელთა მოქმედების გამო საჩივრების განხილვა.

21. ზემო აღნიშნულ მოვალეობათა სისრულეში მოყვანა დაეკისრება სამაზრო-საქალაქო, რკინისგზისა, წყლისა და ცალკე საქალაქო მილიციის სამმართველოებს.

22. სამაზრო-საქალაქო, რკინისგზისა, წყლისა და ცალკე საქალაქო მილიციის სამმართველოებს შეუძლიანთ თავიანთ ტერიტორიის ფარგლებში გადაიყვანონ ერთი ადგილიდან მეორეზე მილიციის საკომანდო შედგენილობა.

23. ქალაქისა და სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსებს და მათ თანაშემწეთ სამსახურში მიიღებს ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი და თანამდებობაზე დაამტკიცებს რესპუბლიკის მილიციის უფროსი, მათი გადაყენება თანამდებობიდან, ან სრულიად სამსახურიდან დათხოვნა შეუძლიან მხოლოდ რესპუბლიკის მილიციის უფროსს. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი არ დაეთანხმება მილიციის უფროსის ასეთ გადაწყვეტილებას, საკითხს საბოლოოდ სწყვეტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, ხოლო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე რესპუბლიკის მილიციის უფროსის განკარგულება რჩება ძალაში.



24. ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტს არ შეუძლიან მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსებისა და მათ თანაშემწეთა სამსახურიდან დათხოვნა, თუ ამის შესახებ არ ექნება რესპუბლიკის მილიციის უფროსის სათანადო თანხმობა.

**შენიშვნა:** უკეთუ მაზრისა და ქალაქის რევოლუციონურ კომიტეტს მილიციის უფროსისა ან მისი მოადგილის თანამდებობისათვის შესაფერი კანდიდატი არ ეყოლება, ან თუ ასეთ კანდიდატს ორი კვირის განმავლობაში არ წარადგენს, რესპუბლიკის მილიციის უფროსი, აღნიშნული თანამდებობის პირს დანიშნავს თავისი შეხედულებისამებრ. ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტს უფლება არა აქვს არ დაუშვას ასეთი პირი თანამდებობაზე. უკეთუ რევოლუციონური კომიტეტი არ დაეთანხმება რესპუბლიკის მილიციის უფროსის განკარგულებას, საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია, ხოლო საკითხის გადაწყვეტამდე რესპუბლიკის მილიციის უფროსის განკარგულება არ შეიძლება შეჩერებულ იქნეს. ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტს არა აქვს უფლება ჩაერიოს რკინისგზისა და წყლის მილიციის უფროსების თანამდებობაზე დანიშნვის საქმეში.

აღნიშნული მილიციის სამმართველოს განყოფილების უფროსებს მიიღებს სამსახურში მილიციის უფროსი და დაამტკიცებს თანამდებობაზე რესპუბლიკის მილიციის უფროსი.

25. სამაზრო-საქალაქო, საქალაქო, რკინისგზისა და წყლის მილიციის მოქმედებას უშუალოდ ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველო.

**შენიშვნა:** წყლის მილიცია უშუალოდ ექვემდებარება მთავარ სამმართველოს. ამასთანავე წყლის მილიციის უფროსი ასრულებს ნავთსადგურის უფროსის ყველა განკარგულებას, ნავთსადგურში და მის მიდამოებში წესდებებისა და ქონების დაცვის შესახებ.

26. სისხლის სამართლის მძიმებელ მილიციაში პასუხისმგებელ (ხელმძღვანელ) მოსამსახურეს მიიღებს მთავარ სამმართველოს უფროსი სისხლის სამართლის ძიების ცენტრალურ განყოფილების უფროსის წარდგენით; მიღებულ პირს დაამტკიცებს რესპუბლიკის მილიციის უფროსი.

ამავე მილიციის თანამშრომელთ ადგილობრივ: მაზრაში, ქალაქში ან რაიონში მიიღებს და დაამტკიცებს მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსი, ხოლო სისხლის სამართლის ძიების ცენტრალურ განყოფილების უფროსთან წინასწარი შეთანხმებით.

**შენიშვნა:** სისხლის სამართლის ძიების მილიციის მოქმედება და ორგანიზაციის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

27. მილიციის მოსამსახურეთა დისციპლინულური წესით დასჯისა და მათი სამართალში მიცემის უფლება აქვს მილიციის საკომანდო შედგენილობას დისციპლინალურ წესდებაში ნაჩვენებ წესისამებრ.

28. სამსახურის ყველა დანარჩენ შემთხვევის შესახებ, რომელიც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის, რესპუბლიკის მილიციის უფროსი წარუდგენს სათანადო მოხსენებას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

**რაიონის მილიცია და მისი ორგანიზაცია.**

29. თვითეული მაზრა დაყოფილია რამდენიმე სამილიციო რაიონად და თვითეულ რაიონში შედის რამდენიმე თემი. აგრეთვე დაყოფილია რაიონებად ცალკე ქალაქისა და რკინისგზის მილიცია. მაზრების რაიონებად დანაწილება ნაჩვენებია ამა დებულების ცალკე დანართში.

30. რაიონის მილიციის სამმართველო უნდა იმყოფებოდეს ქალაქში, დაბაში ან სოფელში, სადაც იმყოფება რაიონის რევოლუციონური კომიტეტი.

31. მაზრისა, ქალაქისა და რკინისგზის სარაიონო მილიცია ექვემდებარება მაზრისა, ქალაქისა და რკინისგზის მილიციის უფროსებს; ამასთანავე სარაიონო მილიცია, გარდა რკინისგზის მილიციისა იმყოფება ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტის კონტროლის ქვეშ.

32. რაიონის მილიციის უფროსსა და მის თანაშემწეს მიიღებს და დაამტკიცებს თანამდებობაზე მაზრის მილიციის უფროსი.

**შენიშვნა:** ქალაქისა და რკინისგზის სარაიონო მილიციის უფროსებს მიიღებს და დაამტკიცებს თანამდებობაზე ქალაქისა და რკინისგზის მილიციის უფროსი.

33. მილიციელს სარაიონო მილიციაში მიიღებს რაიონის მილიციის უფროსი და დაამტკიცებს მაზრის მილიციის უფროსი.

34. თვითეულ სოფელში, სადაც სათემო რევოლუციონური კომიტეტი იმყოფება დაარსდება მილიციელთა სადარაჯო, რომელიც ემორჩილება რაიონის მილიციის უფროსს.

35. არც მაზრისა და არც რაიონის რევოლუციონურ კომიტეტს არ შეუძლიან რაიონის მილიციის უფროსისა ან მისი თანაშემწის თანამდებობიდან მოხსნა, ან სამსახურიდან გადაყენება და დათხოვნა, თუ ამ საგანზე არა აქვს სამაზრო მილიციის უფროსის თანხმობა. უკეთუ სამაზრო ან სარაიონო რევოლუციონური კომიტეტი და სამაზრო მილიციის უფროსი ვერ შეთანხმდნენ, საკითხს საბოლოოდ სწყვეტს მილიციის მთავარი სამმართველო.

**შენიშვნა:** წინა მუხლში მოხსენებული წესი ეხება აგრეთვე სარაიონო და ცალკე სა-



ქალაქო მილიციის უფროსებს და მათ თანაშემწეებს.

36. სარაიონო სამმართველოს სათავეში სდგას ესარაიონო მილიციის უფროსი, რომელიც ხელმძღვანელობს რაიონის მილიციის ყოველგვარ მოქმედებას; იგი პირდაპირი აღმასრულებელია და განმხორციელებელი ყველა დეკრეტისა, ბრძანებისა და განკარგულებისა და თვალყურს ადევნებს თავის რაიონში წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვას და აგრეთვე არა საიმედო ელემენტებს. იგი არის უახლოესი და უშუალო ხელმძღვანელი უფროსს და უმცროს მილიციელებისა და პასუხისმგებელია მათი პოლიტიკური აღზრდისა და სამწყობრო მომზადებისათვის.

37. სარაიონო მილიციის უფროსის თანაშემწე განაგებს სისხლის სამართლის ნაწილს და აწარმოებს ყოველგვარ მიმოწერას გარდა პრინციპიალური ხასიათისა, თვალყურს ადევნებს შინაგან წესიერებას რაიონში, წარუდგენს საქირო ცნობებს მილიციის უფროსს, განაგებს სამწერო ნაწილს და სარაიონო მილიციის უფროსის რაიონში არ ყოფნის დროს დასრულებს მის მოადგილედ.

38. სარაიონო მილიციის უფროსი უშუალოდ ექვემდებარება სამაზრო, საქალაქო ან რკინისგზის მილიციის უფროსს, ხოლო ამასთანავე სისწორით და დაუყოვნებლივ ასრულებს ადგილობრივი და სამაზრო რევოლუციონური კომიტეტების დადგენილებას.

**შენიშვნა:** ქალაქისა და სამაზრო რევოლუციონურ კომიტეტებს უფლება აქვთ აწარმოონ მილიციის სამმართველოების რევიზია; ხოლო შედეგი რევიზიისა თავისი დასკვნით უნდა წარუდგინონ სათანადო მილიციის უფროსს ზომების მისაღებად.

39. მილიციის ადგილობრივი სამმართველო და მისი უფროსი ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან დამოკიდებულებაში უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგს:

1) მილიცია შეეუღლად პირდაპირ ექვემდებარება მასზე მაღლა მდგომ მილიციისავე ორგანოს; თემის მილიცია — რაიონისას, რაიონის — მაზრისას, მაზრისა — მილიციის მთავარ სამმართველოს, ხოლო მთავარი სამმართველო — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

2) თარზული მიმართულებით მილიცია და მისი დაწესებულებანი ექვემდებარება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს: თემის მილიცია — თემის რევოლუციონურ კომიტეტს, რაიონისა — რაიონულ რევოლუციონურ კომიტეტს, მაზრისა — მაზრის რევოლუციონურ კომიტეტს, ხოლო მილიციის მთავარი სამმართველო — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

3) მილიციის ორგანიზაცია ადგილობრივ შეადგენს მილიციის მთავარ სამმართველოს მოვალეობას და მხოლოდ იგი არის პასუხისმგებელი მისი ორგანიზაციისათვის; ადგილობრივ რევოლუცი-

ციონურ კომიტეტს უფლება არა აქვს ჩაეზღოს მილიციის საორგანიზაციო და სპეციალურ ტექნიკურ საკითხებში.

4) სამაზრო და საქალაქო მილიციის უფროსი, როგორც წევრი მაზრისა და ქალაქის რევოლუციონურ კომიტეტის კოლეგიისა, პოლიტიკური ხასიათის ყველა მოქმედებას, რომელიც შეეხება ქალაქის ან მაზრის ამა თუ იმ ნაწილს, ანხორციელებს მაზრისა ან ქალაქის რევოლუციონურ კომიტეტთან შეთანხმებით, რომელიც თავის მხრივ არ ჩაერევა მილიციის სპეციალურ და საორგანიზაციო საქმეში და ყველა თავის განკარგულებას ადგილობრივ მილიციის ორგანოებისადმი, გასცემს სამაზრო და საქალაქო მილიციის უფროსის მეშვეობით.

40. უფროსი მილიციელები ამ სოფლისა და დაბების, რომელნიც შედიან თემის რაიონში, ასრულებენ რაიონის უფროსის ყველა განკარგულებას და აგრეთვე სათანადო რევოლუცი. კომიტეტის ყველა კანონიერ მოთხოვნილებას.

41. სამხედრო მოქმედების დროს მილიციის მთელი რაზმი სრული შედგენილობით და აგრეთვე ცალკე რაიონის მილიციელები სავსებით ემორჩილებიან იმ ათასეულისა ან გუნდის უფროსების განკარგულებას, რომელშიაც ისინი შედიან.

**შენიშვნა:** 1. ამა დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი უფრო ვრცლად ჩამოთვლილია განსაკუთრებულ ინსტრუქციაში, რომელსაც ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

**შენიშვნა:** 2. სამსახურის საკიროებისათვის მილიციის მთავარ სამმართველოსა და რკინის გზის მილიციის მუდმივ განკარგულებაშია ერთი ვაგონი, ხოლო წყლის მილიციისა და იმავე მთავარ სამმართველოს განკარგულებაში — მატორიანი ნაფი.

42. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის 1921 წ. აპრილის 20-ს თარიღითა და 26 №-ით გამოცემული დეკრეტი მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 20.

ტფილისი. — სასახლე.





### დეკრეტი № 92

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა საფაბრიკო და საქარხნო დაწესებულებათა მიერ სტატისტიკური ცნობების წარდგენის წესის შესახებ.

რათა ყოველგვარი დახმარება გაეწიოს მრეწველობის აღდგენას, საქირთა პერიოდულად სწორი ცნობების მიღება რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი საფაბრიკო-საქარხნო დაწესებულება, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკუთვნის იგი, (სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და სხვა ორგანოს ან კერძო პირს), ამა დეკრეტის ძალით ვალდებულია, 1922 წლის იანვრის 1-დან დაწესებული, წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობები საწარმოო დაწესებულების შესახებ, — ყოველთვიურად არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 10-ს რიცხვისა, აქისათვის დადგენილი ბლანკით.

2. ცნობები უნდა წარედგინოს ქ. ტფილისში — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში — ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სათანადო სამაზრო სტატისტიკურ ბიუროს — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის გადასაგზავნად.

3. საწარმოო დაწესებულებათა ორგანიზაცია და მათთვის ხელმძღვანელობისა და ინსტრუქტორობის გაწევა ამა ანგარიშების საკითხებში დაევალება ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

4. საბჭოთა დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელნიც საქირთებენ დამატებითი პერიოდულ ცნობებს, — მიიღებენ ამ ცნობებს საწარმოო დაწესებულებებისაგან იმ პროგრაჰით, რომელიც დამტკიცებული იქნება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველისაგან, როგორც სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოს მიერ.

5. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალოს თვალყურის დევნება ამა დეკრეტის სწორედ და თვის დროზე განხორციელებისათვის.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვიციანი.

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭ. თავმჯ. მ. ტოროშელიძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 14. ტფილისი — სასახლე.

### დეკრეტი № 93

ეროვნული ინტელიჯენცია

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

ბექვდითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში წარდგენის შესახებ.

1. ყველა სახელმწიფო თუ კერძო სტამბის, ლიტოგრაფიის, მეტალო-პლასტიკის და ყოველგვარი სასტამბო წარმოების გამგე თუ პატრონი ვალდებულია ბექვდითი სიტყვის ნაწარმოების ოცდაერთი ცალი უფასოდ წარადგინოს განათლების კომისარიატში მათი განაწილებისათვის რესპუბლიკის მუზეუმსა, ბიბლიოთეკებსა და არქივებში შესანახად.

შენიშვნა: მიენდოს განათლების კომისარიატს შემთხვევით და დამტკიცოს დაწესებულებითი სა იმ დაწესებულებათა, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის გარეშე, რომელთაც უნდა გაეგზავნოს შესანახად გამოცემანი; განათლების კომისარიატმა აგრეთვე უნდა შემთხვევით წესი რესპუბლიკის აღნიშნულ დაწესებულებათათვის უცხოეთის გამოცემათა მოწოდებისა.

2. ბექვდითი სიტყვის ნაწარმოებად ჩაითვლება: ყოველგვარი წიგნი, ესტამპი, სურათი, რუკა, გეგმა, ნოტი, კალენდარი, პროკლამაცია, და სხვა.

3. ამა დეკრეტის 1-ლ მუხლში აღნიშნულ ყველა ბექვდითი ნაწარმოები წარედგინება განათლების სახალხო კომისარიატს:

- ა) ტფილისში — წარმოების პატრონისა ან გამგის მიერ უშუალოდ, და
- ბ) პროვინციაში — წარწერთ: „განათლების სახ. კომისარიატისათვის“, გადაეკვება ადგილობრივ საფოსტო კანტორას, რომელიც დანიშნულებისამებო ჰგზავნის მას უფასოდ.

4 უკეთუ ნაწარმოები გამოც მულია სხვა და სხვა ქალაქებზე, განათლებს კომისარიატს უნდა წარედგინოს უკეთეს ქალაქებზე დაბექვდითი.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვიციანი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 14.

ტფილისი — სასახლე.



# დაკრები № 99

საქართველოს სოც. საბჭო. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა ჯიშიანი ცხენის მოშენების შესახებ.

ჯიშიანი ცხენის ჯილაგის დაცვისა და მისი სწორი გამოყენების მიზნით სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო მეცხენეობის — როგორც სახალხო მეურნეობის ერთი მთავარი დარგის განვითარებისათვის, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ჯიშიანი ცხენის მოშენებისა და მეცხენეობის მთელი საქმე, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ცხენების რაციონალურად სარგებლობის მოწესრიგება მთლიანად გადავიდეს მიწათმოქმედების კომისარიატის ხელში.
2. მოხდეს რეგისტრაცია და აღნუსხვა ყველა ჯიშიანი მნიშვნელობის ცხენისა ვის მფლობელობაშიც უნდა იყოს იგი დაწესებულებისა თუ კერძო პირისა.
3. რეგისტრაცია და აღნუსხვა სწარმოებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატით.
4. წესი რეგისტრაციისა და აღნუსხვისა, მისი ვადები და აგრეთვე სარგებლობა აღნუსხული ცხენებისა, განისაზღვრება მიწათმოქმედების კომისარიატის ინსტრუქციით.
5. რეგისტრაციისაგან თავისუფალია მხოლოდ ჯიშიანი შემაღენლობა ცხენის მოშენებელი სახელმწიფო ორგანოსი, აგრეთვე, სახელმწიფო საჯინბოსი და თავსაცავ ბუნქტებისა.
6. ჯიშიანი მნიშვნელობის ცხენი, რომელიც განზრახ არ იქნება წარდგენილი რეგისტრაციისათვის, ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით ან განთავისუფლდება იმ კერძო პირისა, დაწესებულებისა ან წარმოების მფლობელობისაგან, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება იგი, ხოლო თვით მფლობელი ან დაწესებულების გამგე, რომლის მიზეზითაც ცხენი არ იყო წარდგენილი — მიცემულ იქნება სისხლის სამართლის პასუხისგებაში.
7. აღნუსხვაში მიღებული ჯიშიანი ცხენები განაწილდება ორ კატეგორიად:
  - ა) — კატეგორია ცხენებისა, რომელიც გამოსადგება ჯიშიანი ცხენის მოშენების მიზნისათვის.
  - ბ) — კატეგორია ცხენებისა, რომელიც გამოდგება მხოლოდ მეცხენეობის მიზნებისათვის.
8. პირველი კატეგორიის ყველა ცხენი მიწათმოქმედების კომისარიატის სპეციალისტთა კომისიის დადგენილებით გადადის ჯიშიანი ცხენის მოშენებელ სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში, ხოლო მეორე კატეგორიისა დარჩება. აღნუსხვაში და დაწესებულებისა ან კერძო მეპატრონის სარგებლობაში.
9. სახელმწიფო სამომშენებლო ორგანოსა-

თვის ცხენის გადაცემა ხდება იმ აუცილებელი პირობით, რომ მეპატრონეს უნდა დაუბრუნდეს სამაგიერო ცხენი, რომელიც გამოდგება იმ მიწათმოქმედებისათვის, რასაც ჩამოართმეული ცხენი ასრულებდა და აგრეთვე უნდა მიეცეს სათანადო ფულადი კომპენსაცია; ან კომისია მოახდენს ასეთი ცხენის შესყიდვას ნაღდ ფულზე ისეთ ფასებში, რომელიც ბაზრის ფასებზე ნაკლები არ უნდა იყოს.

10. გაყიდვა კერძო პირისა, დაწესებულების ან წარმოების განკარგულებაში დარჩენილ მეორე კატეგორიის ცხენისა შეიძლება მხოლოდ მიწათმოქმედების კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით თვითფულ კერძო შემთხვევაში, ხოლო სახელმწიფო სამომშენებლო ორგანოს მინიჭებული აქვს უპირატესობა ასეთი ცხენის შესყიდვისათვის.

11. აღნუსხვაში დარჩენილი ჯიშიანი ცხენი არ ჩამოერთმევა მეპატრონეს არც ცხენების მობილიზაციის დროს და არც რეკვიზიციის წესით.

12. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება ექვლება ამა დეკრეტის განსავითარებლად გამოსცეს ცალკე ინსტრუქცია და განმარტებანი.

13. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდ. მოად. ბ კვირკელია.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ა. სალარაძე.


1922 წელ. თებერვლის 23. ტფილისი — სასახლე.

# დაკრები № 100

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა თევზის ჭერის შესახებ.

1. თევზის ჭერისა, თევზეულობის სიმდიდრის ექსპლოატაციისა და საერთოდ საქართველოს მთელი სათევზე საქმის მოწესრიგება იმყოფება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, რომელსაც დაევალება:
  - ა) გამოცემა სავალდებულო დადგენილებათა, წესისა და ინსტრუქციებისა თევზის ჭერის მოწესრიგებისა, რესპუბლიკაში თევზის მარაგის დაცვისა და გადიდების შესახებ;
  - ბ) ორგანიზაცია თევზის მარაგის ფაქტიური





დაცვისა და თევზის ჭერის წესებისა და ვადის მე-  
თვალყურეობისა;

გ) სათევზე ადგილების მართვა-გამგეობა ზღვა-  
ზე, მდინარეზე და ტბაზე, როგორც სახაზინო—  
საიჯარო ადგილებისა;

დ) ზრუნვა თევზის გამრავლებისა და მოშე-  
ნებისათვის, მცხოვრებთა შორის ამა საკითხების  
შესახებ სწორი შეხედულების გავრცელება და  
პროპაგანდა გაუშვობებსებულსაშვალებათა თევზის  
კონსერვებად გაკეთებისა და მისი მიზანშეწონი-  
ლად დამზადებისათვის;

ე) მოწყობა თევზის მოსაშენებლო სადგურე-  
ბისა და კერძო პირთათვის დახმარების აღმოჩენა  
ქვირითისა და თევზის ხელოვნურად მოშენებისა-  
თვის საჭირო მოწყობილებათა გამოწერის დროს;

ვ) შესწავლა ადგილობრივ მეთევზეობისა და  
მისი საჭიროებისა, სტატისტიკური ცნობების შე-  
კრება და მეთევზეობის შესახებ ანგარიშების შე-  
დგენა.

ზ) მეთევზეთა კავშირებისა და საზოგადოებათა  
რეგისტრაცია და მათი წესდების დამტკიცება.

2. თევზის ჭერა ანკესითა და ხელის სხვა  
იარაღით ნებადართულია რესპუბლიკის ყველა მო-  
ქალაქისათვის კანონით დაწესებულ ვადის განმა-  
ვლობაში, სახელმწიფო მიწის ფონდის ნაპირების  
ფარგლებში და არავითარი ხარკი და გადასახადი  
ასეთ თევზაობას არ დაედება.

3. თევზეულობის მარაგის დაცვისა და გამ-  
რავლებისათვის საქართველოში, —სასტიკად აკრძა-  
ლულია:

ა) თევზის გაბრუება დინამიტისა, ხელით სა-  
სროლი ყუმბარისა, პიროქსილინისა და თევზის  
მასიური განადგურების სხვა ამგვარი საშვალებე-  
ბითა;

ბ) თევზის ჭერა წყალის მოწამვლით რა ნივ-  
თიერებითაც უნდა იყოს იგი.

გ) დაგუბება წყალისა მთელი რუსხმულის სი-  
ვრცეზე (ფაქრითა ან კონების ჩაყრის საშვალებე-  
ბით) და თევზის ჭერა წყალის გადაგდებით.

4. დამნაშავენი ამა დეკრეტის დარღვევისა-  
თვის მიცემულნი იქნებიან სამართალში და გასა-  
მართლებულ იქნებიან სარეგოლიუციო დროის კა-  
ნონების მთელი სისასტიკით.

5. ყველა ადგილობრივ რეგოლიუციონურ  
კომიტეტს, აღმასრულებელ კომიტეტს, ადმინის-  
ტრაციას და მილიციას ვვალება თვალყური ადევ-  
ნოს ამა დეკრეტის სისწორითა და სასტიკად აღ-  
სრულებას და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს  
ამ საქმეში მიწათმოქმედების კომისარიატსა და მის  
თანამშრომლებს.

6. დეკრეტი ისე ძალაში შედის დღიდან მისი  
გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რეგო-  
ლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის  
მოადგილე ბ. კვირკელია.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი  
ფ. მახარაძე.

რეგოლიუციონური კომიტეტის მდივანი  
ა. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 23.  
ტფილისი —სასახლე.

### დადგენილება № 141

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რეგ. კომიტეტისა

სამედიცინო მომუშავეთა რეგისტრაციის შესახებ.

1. სამედიცინო მომუშავეთა სწორი აღრიც-  
ხვისათვის გამოცხადებულ იქნეს სავალდებულო რე-  
გისტრაცია მთელი სამედიცინო პერსონალისა.

2. პირველ რიგში სწარმოებს საქართველოს  
ფარგლებში მცხოვრებ ყველა ექიმების რეგისტრაცია,  
დამოუკიდებლად ასაკისა, როგორც სამოქალაქო  
სამსახურში მომუშავეთა, აგრეთვე თავისუფალთა  
და რეგისტრაციის დროს მივლინებაში ან შევბუ-  
ლებაში მყოფთა სხვა რესპუბლიკებიდან.

3. რეგისტრაცია სწარმოებს ქ. თბილისში ხუ-  
თი დღის განმავლობაში ამა 1922 წლის თებერ-  
ვლის 20-დან 25-მდე, დილის 9-დან ნაშუადღე-  
ვის 3 საათამდე.

4. თებერვლის 20-ს უნდა გამოცხადდეს ჯან-  
მრთელობის სახალხო კომისარიატის საორგანიზა-  
ციო განყოფილებაში (პასკევიჩის ქ. № 4) ყველა ექი-  
მი, რომლის გვარი იწყება შემდეგი ასოთი: ა, ბ, გ.

- თებერვლის 21-ს. . . დ, ე, ვ, ზ.
- „ 22-ს. . . თ, ი.
- „ 23-ს. . . კ, ლ, მ.
- „ 24-ს. . . ნ, ო, პ, ჟ.
- „ 25-ს. ყველა დანარ-  
ჩენი.

5. მაზრებში რეგისტრაცია სწარმოებს მარტის  
1-დან 5-მდე, ჯანმრთელობის განყოფილების გამ-  
გეთა პასუხისმგებლობით.

6. დანარჩენ სამედიცინო პერსონალის რეგის-  
ტრაციის დღე გამოცხადებულ იქნება ცალკე.

7. რეგისტრაციის შესახებ ხელზე გაცემული  
მოწმობა აღრიცხულმა პირმა უნდა იქონიოს თანვე  
და წარუდგინოს სათანადო ხელისუფლების ორგა-  
ნოს პირველი მოთხოვნისამებრ.

8. ყოველი დანიშნა ახალ თანამდებობაზე



სწარმოებს მხოლოდ ასეთი მოწმობის წარდგენით. ის ექიმი რომელიც არ გამოცხადდება რეგისტრაციაზე, მოიხსნება ძველი თანამდებობიდან და გადაეცემა რევოლუციონურ ტრიბუნალის სამართალს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯდ. მოადგილე ბ. კვიციანი.

ჯანმრთელობის სახ. კომისარი გ. კუჭაიძე.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ., თებერვლის 14.

ქ. ტფილისი. —სასახლე.

### დადგენილება № 143.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

ბანკების ლიკვიდაციის შესახებ.

1. ლიკვიდაცია ყველა ყოფილი, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო დაწესებულებათა მოკლე და გრძელ ვადიან (იპოტეკურ) კრედიტისა, მთნაციონალიზაციის გამო, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დაევალოს საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობას.

2. ხსენებულ დაწესებულებათა ლიკვიდაციის დაწვრილებითი დებულების შემუშავება მიენდოს საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობას სახალხო ბანკის საბჭოს დასტურით და თინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ. მოადგილე ბ. კვიციანი.

თინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 15.

ტფილისი. —სასახლე.

### დადგენილება № 146

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა ნატურალური ხარკის დეკრეტების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის 1921 წლის ენკენისთვის 7-ს თარიღით და 66 №-ით გამოცემული

დადგენილების შეცვლისა და დამატებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

უნდა დაისაჯოს იძულებითი საზოგადოებრივი მუშაობით, ან თავისუფლების აღკვეთით ქონების კონფისკაციითურთ, ან უამისოდ:

1. ა) ვინც უარს განაცხადებს ცნობების მიცემაზე ან ყალბ ცნობებს მისცემს სახნავ სათესი, საბოსტნე, ვენახთა ან სხვა ხეხილით გაშენებული მიწის რაოდენობის შესახებ, ოთხფეხი საქონელისა და მოსავლის რაოდენობისა და აგრეთვე ოჯახის შემადგენლობის შესახებ;
- ბ) ვინც მდარე ღირსებისა ან განზრახ გაფუჭებულ პროდუქტს ჩააბარებს;
- გ) ვინც განაცხადებს პირდაპირ უარს ხარკის გადახდაზე;
- დ) გადამხდელი, რომელიც არ გაიღებს თავის ხვედრ სასურსათო ხარკსა, მიუხედავად სათანადო სასურსათო ორგანოებისა ან სათემო ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილებისა;
- ე) ვინც არ ჩააბარებს ხარკსა პროდუქტების გაყიდვისა, გადაცემისა, ან გადამაღვის გამო.
- ვ) გადამხდელი, — რომლის სხვა ბოროტებრივი მოქმედება მიმართული იქნება ხარკის წესიერად შეტანის ჩაშლისათვის;
2. ა) ვინც მიიღებს სასურსათო ხარკის მდარე ღირებისა და განზრახ გაფუჭებულ პროდუქტებს;
- ბ) ვინც მისცემს წინასწარ შეცნობით ყალბ ცნობებსა სასურსათო ხარკის პროდუქტების შემოსავლისა ან გაცემის შესახებ;
- გ) ვინც წინასწარ შეცნობით უკანონოდ გასცემს პროდუქტებს საწყობებისა, ბაზისა ან სხვა ადგილიდან;
- დ) ვინც ჩაიდენს დანაშაულებრივ დაუდევრობას, ან უყარაოოდ მოუვლის ან და გადაამუშავებს და გაგზავნის სასურსათო ხარკის პროდუქტებს, უკეთუ აღმოჩნდა მათი გაფუჭება, გაფლანგვა ან გატაცება;
- ე) ვინც დაიტაცებს სასურსათო ხარკის პროდუქტს, მათი შენახვისა, გადაამუშავებისა და ტრანსპორტის დროს;
- ვ) ვინც ხელს შეუწყობს პროდუქტების დატაცებას და განზრახ არ გაუწევს წინააღმდეგობას;
- ზ) ვინც პროდუქტებს გადამაღავს აღნუსხვისაგან დატაცების მიზნით.
3. ა) ვინც რაიმე კანონით დაწესებულსა, ან განსაზღვრულ რაოდენობის წინააღმდეგ





ზედმეტს აიღებს კადამხდელისაგან სასურსათო ხარკის პროდუქტებით, ან სხვა ნივთად და ფულად სასურსათო ხარკის აკრფვის გამო;

ბ) ვინც ქრთამს აიღებს იძულებითი საშვალგებით, ან უამისოდ, და ამასთანავე იმის და მიუხედავად თან სდევდა თუ არა ქრთამის აღებას რაიმე სამსახურებრივი მოვალეობის საწინააღმდეგო, მოქმედება;

გ) ვინც უმოქმედობას გამოიჩინს ან ხელისუფლებას გადაამეტებს თუნდაც უანგარო მიზნით, მაგრამ უკეთეს მას თან მოსდევს საპკოთა ხელისუფლების სახელის გატეხა.

4. ვინც გასწევს რაიმე სახისა და ფორმის ბოროტგანზრახულ აგიტაციას სასურსათო ხარკის კადამხდელთა შორის ხარკის ვალების წინააღმდეგ ან ჩაიდენს სხვა ბოროტმოქმედებას, რომელიც მიმართულია სასურსათო ხარკის წესიერად და თავის დროზე გადახდის ჩაშლისათვის, თუ ასეთ მოქმედებას აქვს ორგანიზაციული, ან სისტემატიური ხასიათი.

ბ

დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ამა დადგენილების ა-ს განყოფილების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლით, როდესაც იგი ჩადენილია სასურსათო სახალხო კომისარიატის შტატში მყოფი ან დროებითი თანამშრომლის მიერ და აგრეთვე იმ საკოოპერაციო ორგანიზაციების თანამშრომლის მიერ, რომელნიც სასურსათო ხარკის პროდუქტების აკრფვისა, დაცვისა, განაწილებისა, გადამუშავებისა და ტრანსპორტის საქმეში დაკავშირებულნი არიან სასურსათო კომისარიატთან ხელშეკრულებითი ურთიერთობით, — დაძინაშვე უნდა დაისაჯოს ამისათვის დანიშნული უმაღლესი ხარისხის სასჯელით.

ბ

1. გამოჩეხა ამა დადგენილებაში აღნიშნული ყოველი დანაშაულებრივი მოქმედებისა, როდესაც ეს აუცილებელია, სწამოებს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისა და საგანგებო კომისიების მიერ კუთვნილებისამებრ. გამოძიების დამთავრების ვადა დაინიშნება არა უმეტეს ორი კვირისა.

2. პასუხისგებაში მიცემა ამა დადგენილებაში ჩამოთვლილ ყველა კატეგორიის პირთა, ვარდა საერთო სასამართლო-საადმინისტრაციო ორგანოებისა, ევალება აგრეთვე სასურსათო სახალხო კომისარიატსაც.

3. სასურსათო სახ. კომისარიატს უფლება ეძლევა საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის 66 №-ის დადგენილე-

ბით გათვალისწინებული დანაშაულებრივი მოქმედებისათვის სასჯელის დადება შემოიფარგლოს ადმინისტრაციული სასჯელით, რომელიც აღნიშნულია იმავე დადგენილებაში, ან აღძრას სისხლის სამართლით დევნა ამა დადგენილების წესისამებრ.

4. ამა დადგენილებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი მოქმედების საქმეს განიხილავს რევოლუციონური ტრიბუნალი მოძრავ სესიებში ან უახლოეს სხდომაზე, სრულიად რაგ გარეშე და ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს შვიდი დღის ვადისა საქმის შემოსვლის დღიდან; ამასთანავე ამა დადგენილების ა-ს განყოფილების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული საქმის განხილვა სწარმოებს გამარტივებული წესით, ე. ი. დამკველისა და მოწმეთა მოუწვევლად, უკეთეს ხსენებულ მოწმეთა დაბარებას არ მოითხოვს საქმის განსაკუთრებული სირთულე, ან მათ მიერ მიცემული ჩვენების წინაუკმობა.

5. რევოლუციონური ტრიბუნალის განაჩენი ამა დადგენილებაში აღნიშნული ყოველი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, რომლითაც სასჯელი არ აღემატება ერთის წლის თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას, საბოლოო, საკასაციო წესით არ განიხიფრება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში.

6. დადგენილება ესე ვრცელდება აქვე აღნიშნული ყველა დანაშაულებრივ მოქმედებაზე, რომელიც ჩადენილია ნატურალური ხარკის დეკრეტების გამოქვეყნების დღიდან.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვიციანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 20.

ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 152

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლუციონური კომიტეტისა საერთაშორისო და საქალაქთაშორის ტელეფონის ნიხრის გადღების შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 5-ს თარიღითა და 100 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად, — დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნიხრი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.



2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვიციანი

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი ა. ყამარაული

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე

1922 წ. თებერვლის „23“

ტფილისი სასახლე.

№ 152. დადგენილ. დანართი.

ნ ი ხ რ ი.

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.

№ რიგ.	გადასახადის საგანი.	გადასახად. რაოდენობა მანეთებით.
1	საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისათვის რესპუბლიკის ფარგლებში პირველ 3 წუთს . . . . .	50.000
2	3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ყოველ ზედმეტ წუთსა ან მის ნაწილზე დამატებით . . . . .	20.000
3	დავალება აბონენტის გამოსახილებლად . . . . .	20.000
4	საპასუხო შეკვეთა . . . . .	40.000
5	ქ. ბაქოსთან საერთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის პირველ 3 წუთში . . . . .	150.000
6	3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ყოველ ზედმეტ წუთზე ან იმის ნაწილზე დამატებით . . . . .	70.000
7	ქ. განჯასთან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისათვის თვითველ პირველ 3 წუთზე . . . . .	100.000
8	3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ან მის ნაწილზე . . . . .	40.000
9	დავალება აბონენტების გამოსახილებლად ორივე ქალაქისათვის . . . . .	50.000
10	საპასუხო დავალება . . . . .	40.000
11	სასწრაფო ლაპარაკისათვის და სასწრაფო შეკვეთისათვის გადასახადი, როგორც საქალაქთაშორისო, ისე საერთაშორისო ტელეფონისა გამოერთმევა ერთი სამად ჩვეულებრივთან შედარებით. ავანსი განისაზღვრება 2.000.000 მანეთით . . . . .	

12 | შეკვეთისათვის შემოტანილი ფული არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნდება. . . . .

შენიშვნა: თუ მთხოვნელები ბევრი იქნება, ლაპარაკის დრო განისაზღვროს 10 წუთით.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვიციანი.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი. ა. ყამარაული.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 23.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 153.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 5-ს თარიღითა და 108 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად, დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვიციანი.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი ა. ყამარაული.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 23

ტფილისი—სასახლე.





# ნ ი ს რ ი.

## ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციისა.

გასაგზავნი კორესპ. სახელწოდება

გადასახადის რაოდენობა მანეთობით.

### 1. ბანდეროლები:

აღვილობრივი:

ა) ბეჭდვითი ნაწარმოები გარდა კატალოგებისა და პრეისკურანტებისა. . . . .

ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 1.000 მ.

ბ) საქმის ქაღალდები. . . . .

ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 1.500 მ.

სხვაგან გასაგზავნი ისეთივე ბანდეროლები:

ა) ბეჭდვითი ნაწარმოები . . . . .

ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 2.000 მ.

ბ) საქმის ქაღალდები. . . . .

ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 3.000 მ.

გ) საქონლის ნიმუშები. . . . .

ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 5.000 მ.

**შენიშვნა:** კატალოგები და პრეისკურანტები იგზავნება, როგორც საქონლის ნიმუშები.

### 2. დახურული უბრალო წერილები:

ა) აღვილობრივი. . . . .

ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 5.000 მ.

ბ) სხვაგან გასაგზავნი. . . . .

ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწ. . . . . 10.000 მ.

### 3. მისალოც, სადარბაზო ბარათები:

ა) აღვილობრივი და

ბ) სხვაგან გასაგზავნი . . . . .

წონის ფასი იგივე, როგორც დახურული უბრალო წერილისა.

### 4. უბრალო ღია წერილები:

ა) აღვილობრივი . . . . .

2.500 მ., პასუხით ორჯერ მეტი . . . . . 5.000 მ.

ბ) სხვაგან გასაგზავნი . . . . .

5.000 მ., პასუხით ორჯერ მეტი . . . . . 10.000 მ.

### 5. ნაწილობრივ ან სრულიად ფას გადაუხდელი წერილები . . . . .

წონის ფასი ერთი—ორად მეტი.

### 6. შეკვეთილი წერილები . . . . .

წონის ფასი იგივე, რაც უბრალო წერილისათვის, შესაკვეთი კი 10.000 მან.

### 7. ფასიანი წერილები:

ა) აღვილობრივი. . . . .

წონის ფასი იგივე, როგორც აღვილობრივ უბრალო წერილისა, დასაზღვევი ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან.

ბ) სხვაგან გასაგზავნი. . . . .

წონის ფასი იგივე, როგორც სხვაგან გასაგზავნი უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ყოველ 1.000 მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან.

### 8. ფულიანი წერილები:

ა) აღვილობრივი . . . . .

წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე—5.000 მან.,

დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან.

ბ) სხვაგან გასაგზავნი. . . . .

წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე—10.000 მან.,

დასაზღვევი ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 200 მან.

**შენიშვნა:** თითო ფულიან წერილში დაშვებულია გადაიგზავნოს არა უმეტეს 1.000.000. მან.

### 9. ფულის ბარათები. . . . .

ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 100 მან.



**შენიშვნა:** ერთი ბლანკით შეიძლება გაიგზავნოს 1.000.000 მან., ხოლო სახაზინო დაწესებულებებისათვის გასაგზავნი თანხა განუსაზღვრელია.

10. გაგზავნილის მიღების შეტყობინება:

- ა) ადგილობრივი კორესპონდენციის . . . . . 5.000 მან.
- ბ) სხვაგან გასაგზავნი . . . . . 10.000 მან.

11. გაგზავნილ კორესპონდენციის მოძებნა შეჩერება, დაბრუნება, მისამართის გამოცვლის განცხადება:

- ა) ადგილობრივი კორესპონდენციის . . . . . თვითეულ განაგზავნზე . . . . . 5.000 მან.
- ბ) სხვაგან გასაგზავნი . . . . . თვითეულ განაგზავნზე . . . . . 10 000 მან.

12. საბონენტო უჯრებით სარგებლობა . . . . .

- ქ. ტფილისში და ბათუმში 1 უჯრა . . . . . 50.000 მან.
  - ქუთაისში და ფოთში . . . . . 30 000 მან.
  - დანარჩენ ადგილებში . . . . . 20.000 მან.
- წელიწადში.

**შენიშვნა:** ვისაც მთელი წლის გადასახადი აქვს შემოტანილი ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან უნდა შემოიტანოს განსხვავება.

13. ყოველგვარ კორესპონდენციის ბილეთები . . . . .

ყველგან წლიურად 50.000 მან,

14. შეღავათიან კორესპონდენციაში კერძო ხასიათის მიმოწერის აღმოჩენა . . . . .

თვითეულ გადასაგზავნზე დამნაშავეთ გადახდეთ წონის ფასი სამჯერ მეტი ჩვეულებრივი წერილისა და მიეცენ პასუხის გებაში, როგორც ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სამსახურში.

15. ჟურნალ გაზეთების გასაგზავნი . . . . .

რედაქციებს გადახდეს 20% გაზეთ-ჟურნალის თვიური ღირებულებისა (თითო ნომერზე ცალკე, . . . . .

**შენიშვნა:** მთავრობის მიერ გამოცემული თეატრალური ჟურნალი „მომამბე“ მიიღება გასაგზავნად უფ. სოდ.

16. ა მ ა ნ ა თ ე ბ ი:

- ა) უფასო . . . . . საქართველოს ტერიტორიის ყველა მანძილზე 2 გირ.-დღე 10.000. მან.; 2-დან 7-დღე—20.000 მ.; 7-დან 12 გირ.-დღე—30.000 მ. 12 გ. ზევით თითო გირ.-ზედ 2000 მ.

წონის ფასი, რაც უფასო ამანათისათვის და დასაზღვევი, როგორც ფასიანი წერილისათვის ე. ი. ყოველ 1000 მან. ან მის ნაწილზე 100 მან.

17. პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმა . . . . .

ამანათზე ლუქის ბეჭდის დასმისათვის ან პლომბის დადებისათვის 5000 მ., წერილების დალუქვისათვის 5000 მან.

18. ამანათების შენახვა.

ერთი დღე და ღამე 5000 მან.

**შენიშვნა 1:** ამანათის შესანახად დაწესებული ფასი გადახდებამ მიმღებთ სამი დღისა და ღამის შემდეგ უწყების ჩაბარებისა, თუ ის ქალაქის ან სოფლის ფარგლებში სცხოვრობს. ანგარიშში არ მიიღება უწყების ჩაბარების დღის მომდევნო დიდი უქმე დღე, როდესაც საფოსტო ოპერაციების წარმოება შეჩერებულია; იმ შემთხვევაში, თუ ამანათის მიმღები ქალაქ გარედ სცხოვრობს, სადაც უწყებას თვით ფოსტა არ აბარებს, შესანახი ქირა გადახდებამ მიმღებთ ორი კვირის შემდეგ, დღიდან ამანათის დაწესებულებაში მოსვლისა.

**შენიშვნა 2:** ერთი ფასიანი ამანათის ფასი განისაზღვროს 500.000 მან.

19. ფასდადებული კორესპონდენცია . . . . .

ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 100 მან.

**შენიშვნა:** ფასდადებული კორესპონდენციის თანხა განსაზღვრულია 1.000.000 მან.

20. ტელეგრაფები:

- ა) ადგილობრივი . . . . . სიტყვა 2000 მან.







### დადგენილება № 154.

საქ. სოც. საბჭ. რევ. კომიტეტისა.

ტელეფონის დადგმა-მოწყობის და გადატან-გადმოტანის ნიხრის გადიდების შესახებ.

1. საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. დეკემბრის 5-ს თარიღითა და 190 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნიხრი აბონენტებისათვის ტელეფონის დადგმა-მოწყობისა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატან-გადმოტანის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვიციანი**.  
ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული**.

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**,  
1922 წ. თებერვლის 23.  
ტფილისი — სასახლე.

№ 154 დადგენილ.  
დანართი.

### ნიხრი

აბონენტებისათვის ტელეფონის დადგმა-მოწყობისა და ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადატან-გადმოტანისა.

№ რიგ.	გადასახადის სახანი.	გადასახადის რაოდენობა მანეთობით.
1	ტელეფონის აპარატის დადგმა-მოწყობა, მიუხედავად მანძილისა, კერძო პირთათვის . . . . .	1.000.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	2.000.000
2	დამატებითი ტელეფონის დადგმა-მოწყობა ერთ და იმავე შენობაში, იმავე ან სხვა ოთახში კერძო პირთათვის. . . . .	400.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	1.000.000
3	ტელეფონის აპარატის ერთი ბინიდან მეორეში გადატანა ერთსა და იმავე შენობაში და სართულში, როგორც დამატებითი ტელეფონისა კერძო პირთათვის . . . . .	4.000.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	1.000.000
4	ტელეფონის აპარატის გადატანა ერთი სართულიდან მეორე სართულში ან სხვა ქუჩაზე, როგორც ახალი აპარატის მოწყობა-დადგმისათვის კერძო პირთათვის . . . . .	1.000.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	2.000.000

5	საბჭოთა დაწესებულებებში და კერძო ბინაზე ტელეფონით სარგებლობისათვის თვეში . . . . .	500.000
6	ტელეფონით სარგებლობისათვის სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა, ბანკების, ქარხნების, სასტუმროების და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა მიერ 1 თვეს. . . . .	1.000.000
7	დამატებითი ზარის დადგმა კერძო პირთათვის, . . . . .	200.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	400.000
8	დამატებითი ყურმილების გაკეთება კერძო პირთათვის. . . . .	100.000
	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	200.000
9	გადამბირის დადგმა კერძო პირთათვის . . . . .	200.000
10	სავაჭრო წარმოებათათვის . . . . .	400.000
	ტელეფონით სარგებლობა ისეთ ბინაზე, რომელიც ცენტრალურ სადგურიდან დაშორებულია ორ ვერსზე მეტი მანძილით გარდა ჩვეულებრივი თვითური ფასისა თვითეულ 100 საჯენისა ან მისი ნაწილისათვის. . . . .	20.000

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვიციანი**.  
ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული**.  
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ა. სალარიძე**,  
1922 წლ. თებერვლის 23.  
ტფილისი — სასახლე.

### დადგენილება № 155

საქართველოს სოც. საბჭ. რევ. კომიტეტისა. საქართველოს რესპუბლიკის რადიო-ტელეგრაფის წესდებისა და ტარიფის დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცებული იქნეს ამასთანავე დართული წესდება და ტარიფი საქართველოს რესპუბლიკის რადიო-ტელეგრაფისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა 1922 წლის მარტის 1 დან საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომ. მოადგ. **ბ. კვიციანი**.  
ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი **ა. ყამარაული**.  
რევოლიუციონური კომიტ. მდივანი **ა. სალარიძე**,  
1922 წ. თებერვლის 23.

155 №-ის დადგენილების დანართი

### წესდება და ტარიფი

საქართველოს რესპუბლიკის რადიო-ტელეგრაფისა.  
1. წესდება ესე იხმარება ყოველგვარი რადიო-ტელეგრაფული ურთი-ერთი მიმართვისათვის (გა-



დაცემა და მიღება) საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ყველა რადიო-სადგურზე.

2. ყოველგვარი რადიო-ტელეგრაფიული ურთიერთი მიმართვა (გადაცემა და მიღება განიყოფება შემდეგნაირად:

- ა) ოპერატიული,
- ბ) მთავრობისა,
- გ) საბჭოთა დაწესებულებებისა,
- დ) საინფორმაციო,
- ე) კერძო,

ამას გარდა, აღნიშნული მიმართვა განიყოფება ადგილ-მდებარეობის მიხედვით:

- ვ) შიგ საქართველოში,
- ზ) საბჭოთა რესპუბლიკების შორის,
- თ) საუცხოეთო,

3. ოპერატიულ რადიოგრაჟად ითვლება ისეთი რადიოგრაჟა, რომელსაც გაჰგზავნის ან მიიღებს საზღვრო და საზღვაო სახალხო კომისარი, სარდლობა და ცალკე კავკასიის არმია და რომელსაც აქვს წარწევა: „ოპერატიული“, ხელმოწერილია სათანადო პასუხისმგებელი პირის მიერ და შემოწმებულია ჯგროვანი ბეჭდით.

4. მთავრობის რადიოგრაჟად ითვლება ისეთი რადიოგრაჟა, რომელსაც გაჰგზავნის ან მიიღებს სახალხო კომისარი, და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

5. საბჭოთა დაწესებულებების რადიოგრაჟად ითვლება ისეთი რადიოგრაჟა, რომელსაც გაჰგზავნის ან მიიღებს კომისარიატი, მისი განყოფილება, სხვა ცენტრალური ორგანო, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და სხვა საბჭოთა დაწესებულება.

6. საინფორმაციო რადიოგრაჟად ითვლება კავკასია-რუსეთის დეპეშათა სააგენტოს (კავროსტა) მიერ მიღებული ან გამოგზავნილი რადიოგრაჟა.

7. ყველა დანარჩენი რადიოგრაჟა ჩაითვლება კერძო რადიოგრაჟად.

8. იმ შემთხვევაში, უკეთუ რადიოსადგურს, გადაზიდვის გამო, არ შეუძლიან გადასცეს და მიიღოს ყველა რადიოგრაჟა, მათი მიღება—გადაცემა უნდა მოხდეს რიგით და უპირატესობა მათ შორის უნდა განაწილდეს მეორე მუხლში აღნიშნული წესისამებრ; რადიოგრაჟის გადაცემა შეიძლება აგრეთვე მავთულიანი ტელეგრაფით.

9. ყველა რადიოგრაჟა ფასიანია. ამასთანავე ფასი იმ რადიოგრაჟისათვის, რომელიც მიღებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გარეშე მყოფ რადიოსადგურისაგან, გადახდევინებულ უნდა იქნეს იმისდა მიუხედავად, — გადახდევინა თუ არა ამ სადგურმა გადმოსაცემი რადიოგრაჟის ფასი.

10. გადასაცემად არ მიიღება შემდეგი რადიოგრაჟა:

- 1. გადახდილი პასუხით,
- 2. საფულისბარათო,
- 3. გადაცემის შემოწმებით,
- 4. ჩაბარების შეტყობინებით,
- 5. კვალდა-კვალ გადაცემით,
- 6. შიკრიკით, ან ფოსტით ჩასაბარებელი.
- 11. რადიოგრაჟა მიიღება, როგორც რადიო-

სადგურებზე, ისე ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებაში, რომელმაც უნდა გადასცეს იგი უახლოეს რადიო-სადგურს.

12. რადიოგრაჟის ანგარიში იმ პირთა დაწესებულებათათვის, რომელნიც მოხსენებულ არიან მეორე მუხლის ა, ბ, დ, პუნქტებში სწარმოებს ნისი-ად და გასწორებული უნდა იქნეს ყოველთვიურად არა უგვიანეს მომავალი თვის ათი რიცხვისა.

იმ რაოდენობისათვის, რომელიც აღნიშნულია მეორე მუხლის გ, ე, პუნქტებში ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს ნაღდად რადიოგრაჟის სადგურზე მიღებისთანავე ან მისი ჩაბარების დროს დახურული კონვერტით.

სასწრაფო რადიოგრაჟისათვის ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთი სამად.

### ტ ა რ ი ფ ი:

	გ ა დ ა ც ე მ ა:			მ ი ლ ე ბ ა:		
	ვ	ზ	თ	ვ	ზ	თ
ა. ბ	7000	7000	6700	3500	3500	3500
ვ.	14000	14000	28000	7.000	7.000	14000
ე.	28000	28000	56000	14000	14000	28000

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომ. მოადგ. ბ. კვიციანი. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი ა. ყამარაული. რევოლიუც. კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე. 1922 წ. თებერვლის 23. ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 156

საქართვე. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუც. კომიტ. შექრთამეობისათვის დასჯის ღონისძიებათა შესახებ.

შექრთამეობის აღმოსაფხვრელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

- 1. თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის, — სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირი, — ვინც პირადად ან შუაკაცის შემწეობით მიიღო ან ცდილობდა მიეღო ქრთამი, — ამა თუ იმ სახით, — ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი საქმის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის რომელიც მისი სამსახურის მოვალეობას შეადგენდა.
- 2. იგივე დასჯელი დაეკისრება იმ პირს, რომელიც ქრთამის მიცემისათვის შუაკაცობას გასწევს.





3. ქრთამის აღებისათვის სასჯელის გამადიდებელ საბაზად ჩაითვლება შექდები გარემოება: ა) თანამდებობის პირის განსაკუთრებული რწმუნება-მოხილობა, ბ) მოსამსახურის მიერ სამსახურის მოვალეობის დარღვევა და გ) ქრთამის იძულებითი დატყუება.

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნულ სასჯელს შეიძლება დაერთოს ქრთამად აღებული ქონების კონფისკაცია. აგრეთვე, ჯარიმა — აღებული ქრთამის ერთი-ორად ან ერთი-სამად ვადიდებული რაოდენობისა.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭოთა რესპ. რევ. კომ. თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვიციანი**.

იუსტიციის სახ. კომის. მოადგილე **ს. კარტოზიძე**. რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **აღ. სალარიძე**. 1922 წლის თებერვლის 23. ტფილისი — სასახლე.

## ს. ს. ს. რ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტი.

### დაფუძნების № 1.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. კ. ცენტრალურ აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმისა ნებაყოფლობით სამსახურში გამოცხადებულ დეზერტირების სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ.**

რათა იმ პირთ, — რომელთაც ჯარში სამსახურს ან ჯარში გაწვევას თავი განარიდეს, — საშუალება მიეცეთ შეიგნონ თავიანთი დანაშაული და ნებაყოფლობით დაუბრუნდნენ სამხედრო სამსახურს, — საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს წითელი არმიის ნაწილების საკომანდო შედგენილობის ყოველი თანამდებობის პირი, წითელარმიელი ან სხვა სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც თავისი ნებით დასტოვა ჯარის ნაწილი, — აგრეთვე სამხედრო სამსახურში გაწვეული ყველა მოქალაქე, რომელიც დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდა სამხედრო სამსახურისათვის, — განთავისუფლებულ იქნეს როგორც სასამართლოს, ისე დისციპლინარული პასუხისმგებლობისაგან დეზერტირობისათვის, — უკეთეს იგი, — დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა ამა 1922 წლის აპრილის 10-დღე, — ნებაყოფლობით გამოცხადდება თავის ნაწილში ან და სათანადო სამაზრო სამხედრო კომისარიატში.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. შახარაძე**.

აღმასრულებელი კომიტ. მდივანი **თ. კალანდარიძე**. 1922 წ. მარტის 27. ტფილისი — სასახლე.



## ბრძანება № 96

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის, ამა 1922 წლის 4 თებერვლის დადგენილებით — აშ. ბ. მდივანის ოზურგეთის მაზრაში გამგზავრების გამო, რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **აშ. ბ. კვიციანი**.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ბ. მდივანი**.

რევ. კომიტ. მდივანი **აღ. სალარიძე**.

1922 წ. თებერვლის 4.

ტფილისი — სასახლე.

## ბრძანება № 97

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

რადგანაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამშობლოში მიმავალ ლტოლვილთა მასიური მოძრაობა და აუცილებელია სრულიად სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება მათი ევაკუაციისა და აგრეთვე სასურსათო და სანიტარული დახმარებისათვის, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადასტურებს და მოაგონებს საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ხელისუფლების ყველა ორგანოს, რომ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 26 №-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს ცენტრალური საგეაქუაციო სამმართველო დაარსებულია ყველა იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციების მოქმედების შეთანხმებისა, გაერთიანებისა და ხელმძღვანელობისათვის, რომელნიც განაგებენ სამხედრო ტყვეებისა, სამოქალაქო ტყვეებისა და ლტოლვილთა საქმეს; ამასთანავე აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციებს ეძლევა განსაკუთრებული რწმუნებულება ყველა იმ საკითხების საერთო ხელმძღვანელობისათვის, რომელიც შეიძლება აღიძრას ჩამოთვლილ კატეგორიათა პირების მიმართ.

ამისათვის ცენტრალური საგეაქუაციო სამმართველოს ყოველგვარი განკარგულება თუ გადაწყვეტილება, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის ზოგადი სახელმძღვანელო ცნობებისა, — დაუყოვნებლივ შესრულებულ უნდა იქნეს, — როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ყველა დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიერ, — ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ვისგანაც უნდა იყოს იგი.

სამხედრო უწყებას, რკინისგზასა, და ყველა საბჭოთა დაწესებულებას წინადადება ეძლევა აღმოუჩინოს ცენტრალურ საგეაქუაციო სამმართვე-



ლოს უადრესად ფართო და ენერგიული დახმარება მცხოვრებთა ევაკუაციისათვის.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდ. მოადგილე ბ. კვიციანი.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922., თებერვლის 20.

ტფილისი. —სასახლე.

### დაგულება

**საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილების შესახებ.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილებას მიზნად აქვს მოწყობა და გაერთიანება ტვირთ-ზიდვის საავტომობილო-სატრანსპორტო საქმეებისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, და აგრეთვე აღნუსხვა-განაწილება და მიზან-შეწონილი გამოყენება ყველა უწყებათა საწყობებისა.

**ცენტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილების ფუნქციები.**

ა. სატრანსპორტო ნაწილში:

1. აღნუსხვა რესპუბლიკაში ხელზე ქონებულ ტვირთ-ზიდვის ყველა საავტომობილო საშუალებათა.

2. მათი ექსპლოატაცია:

ა) განაწილება და გადანაწილება უწყებათა შორის ტვირთ-ზიდვის საავტომობილო ტრანსპორტისა.

ბ) კონტროლი უწყების განკარგულებაში გადაცემულ ტრანსპორტის სწორი სარგებლობისათვის.

გ) გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებათათვის სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებისა.

დ) წინასწარი შედგენა საერთო გიგმისა და სასწრაფო განცხადებისა წყალზე და რკინის გზაზე ტვირთის გადაზიდვის შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებათათვის.

ე) განხილვა დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით და დამტკიცება ყველა გეგმითი და სასწრაფო გადაზიდვისა, რომელიც ეხება ტვირთ-ზიდვასა და საავტომობილო ტრანსპორტს რესპუბლიკაში.

ვ) მუდმივი შინაგანი სამსახურის გაწევა სატრანსპორტო საშუალებებით ქალაქებისა და ფაბრიკა-ქარხნების რაიონებისათვის.

ზ) ფოსტისა და მგზავრების გადაყვანა და გადაზიდვა რესპუბლიკის ყველა გზებზე.

ი) დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატანა და გაწოზიდვა ყველა ტვირთისა სადგურებსა, ნავთ-სადგურებსა და პორტებიდან.

3. დამტვირთავი მუშათა არტელების მოწყობა და მათი გადაგზავნა ისეთ ადგილებში, რომელთაც ეს უმეტესად ესაჭიროებათ.

4. სატვირთო და სამგზავრო ტარიფების და-

უშავება ტვირთ-ზიდვის საავტომობილო ტრანსპორტისათვის და მათი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.

5. გაცემა სათანადო დაწესებულებათა და პირთათვის, თანხმად მთავრობის დეკრეტისა, ბრძანებისა და დადგენილებებისა, მეპატრონეთა მიერ გადახე მიუღებელ უდოკუმენტო ჩამორთმეულ და რკინის გზის ტრანსპორტის გზებზე ნაპოვნ ტვირთისა, რომელიც თვით გზაზე იმყოფება, ან რკინის გზის პაპგაუზებში ინახება და რომელიც უნდა გადაეცეს ცენტრალურ სატრანსპორტო სამატერიალო განყოფილებას.

6. მონაწილეობის მიღება ყველა ორგანიზაციებში, რომლებიც განაგებენ რკინისგზების ტვირთის საქმეს.

7. გახსნა საკომერციო მიზნით სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სატრანსპორტო-საკომისიო კონტორებისა, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში, ისე საქართველოს რესპუბლიკის გარეშე სოც. საბჭ. რესპუბლიკების სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

8. უფლება, იქონიოს პირდაპირი დამოკიდებულება რკინის გზებთან და ნაოსნობასთან, ცენტრალურ სატრანსპორტო სამატერიალო განყოფილების სატრანსპორტო საკომისიო კონტორების საშუალებით გადასაზიდი ტვირთის პირდაპირი დოკუმენტების მისაღებად.

9. წინასწარი განხილვა და წარდგენა დასამტკიცებლად სათანადო უწყებისათვის ყველა შუამდგომლობათა, თავისი დასკვნითურთ და წესდების თანდართვით, კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სატრანსპორტო-საკომისიო საზოგადოების და კონტორების გახსნის შესახებ.

10 დაწესება ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად სახელმწიფოს სასარგებლოდ საკომისიო და სხვ. გადასახადის ნორმისა—თვითეულ დოკუმენტზე და თვითეულ ფუთზე ტვირთისა, რომელიც კერძო სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სატრანსპორტო-საკომისიო კონტორის ხელში გაივლის.

11. კონტროლი კერძო სატრანსპორტო-საკომისიო კონტორებისა წესდებით მათზე დაკისრებულ მოვალეობათა სასწორით აღსრულებისათვის.

#### ბ) სამატერიალო ნაწილში:

1. აღნუსხვა სასაწყობო შენობებისა რესპუბლიკაში და მათი განაწილება და გადანაწილება უწყებათა და კერძო დაწესებულებათა შორის.

2. მომარაგება საავტომობილო ტრანსპორტისა საქირო ნაწილებითა, საწვავ და სხვა მასალითა.

3. გამგებლობა ცენტრალურ სატრანსპორტო სამატერიალო განყოფილების საქსპლოატაციო და დროებითი სისაწყობო შენობებისა.

#### გ) ბუჯხალტერიაში:

1. წარმოება სამატერიალო და სატრანსპორტო ანგარიშებისა.

2. შედგენა აღრიცხვისა



და 3. შემოღება ანგარიშ-წარმოებისა და მისი სისწორით წარმოებისათვის ზედამხედველობა სატრანსპორტო საქმეებისათვის და სატრანსპორტო-საკომისიო კონტორებში.

ცენტრალურ სატრანსპორტო-სამატერიალო განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც დამატკიცებს თანამდებობაზე და თანამდებობიდან დაითხოვს სახალხო მკურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი ტრანსპორტის მუშათა კავშირით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვიციანი**.

სახალხო მკურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე **მ. ტოროშვილიძე**.

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ა. სალარიძე**.

1922 წლის თებერვლის 23.

ტფილისი — სასახლე.

# შინ. საქმ. სახ. კომისარიატი

## დისციპლინარული წესდება

მუშათა და გლეხთა მილიციაში მოსამსახურეთათვის.

თ ა ვ ი 1.

ზოგადი დებულება.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დეკრეტით №-26 მუხლი 7, მილიციაში დაწესებულია სამხედრო დისციპლინა და სასტიკი დაქვემდებარება.

2. სამხედრო დისციპლინა არის ს. ს. ს. რესპუბლიკის კანონებით წითელ ლაშქარში დადგენილი წესრიგი.

3. მილიციას შეუძლია განახორციელოს თავისი მალალი დანიშნულება მხოლოდ მაშინ, როცა ის სავსებით ემორჩილება მშრომელთა მიერ დამყარებულს საბჭოთა ხელისუფლებას და შეურყეველი ერთგულებით ასრულებს ამისთვის მიცემულ დაპირებას.

4. მუშათა და გლეხთა მილიციაში დისციპლინას საფუძვლად უდევს ს. ს. რ. კანონებისადმი პატივისცემა, საბჭოთა სოციალისტურ წესწყობილებისადმი ერთგულება და სრული შეგნება იმისა, რომ მშრომელთა განთავისუფლებისათვის კაპიტალისტების მუხრუჭისაგან და სოციალიზმის დასამყარებლად ყველა მილიციაში მოსამსახურე მზად უნდა იყოს თავი შესწიროს.

5. დისციპლინა მოითხოვს მილიციაში მოსამსახურესაგან:

- ა) დაიცვას არსებული კანონების ყველა მოთხოვნილება;
- ბ) სრულის სისწორით ასრულოს უფროსებისაგან სამსახურის შესახებ მიღებული ბრძანებანი;
- გ) სინდისიერად და შეგნებით ასრულოს

სამსახურებრივი მოვალეობანი და არ დასტურებს დაუსჯელად ხელქვეითების გარეწობას და დანაშაულებანი.

6. სოციალისტური სამშობლოს ზედ მიწევნით დასაცავად მილიცია უნდა იყოს საუკეთესოდ მოწყობილი ყოველმხრივ, ხოლო მილიცია ზედ მიწევნით იქნება მოწყობილი მაშინ, როცა მისი ძალები მოქმედობენ ურთიერთ შორის შეთანხმებით და ერთი ექვემდებარება მეორეს.

ამიტომ მილიციაში მოსამსახურეთა შორის სამსახურებრივი დამოკიდებულება ასეთია, რომ ერთნი მათგანი არიან ხელმძღვანელები და მეორენი აღმასრულებლები.

7. ის ხელმძღვანელები, რომელიც არსებული კანონის, სათანადო ბრძანების ან განკარგულების ძალით მუდმივ ან დროებით ხელმძღვანელობას უწყევს დანარჩენს მოსამსახურეებს მათი სამსახურებრივი მოქმედებაში და, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, პასუხს აგებს მათი მოქმედების გამო, ითვლება უფროსად, მოსამსახურენი კი მისი ხელქვეითებად.

შენიშვნა: ერთად მოსამსახურე პირთა შორის, რომელნიც წინეთ არ ექვემდებარებოდნენ ერთმანეთს, უფროსად ითვლება ის, რომელსაც უჭირავს უმაღლესი თანამდებობა ხოლო თუ თანამდებობა თანასწორი აქვსთ, უფროსად ითვლება ის, რომელმაც მეტი დრო დაჰყო ამ თანამდებობაზე.

8. ყველა მილიციაში მოსამსახურენი, მიუხედავად მათი თანამდებობისა, როგორც წევრნი ერთად ერთა მუშათა და გლეხთა მილიციისა, დანაშაულობისათვის ისჯებიან დასციპლინარული წესით.

9. ყოველი მილიციაში მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას და განავითაროს როგორც თვითონ, ისე სხვებში დისციპლინა და მხედრული ახოვნება.

10 მხედრული ახოვნება გამოიხატება: ვაჟკაცობაში და სიმამაცეში—ყოველივე საშიშროების უკუგდებად; თავ განწირულებაში, თავის თავზე და თავისი ძალ-ღონის იმედში, საჭირო წუთში ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოჩენაში, მოსწრებულად მოქმედებაში, გამბედაობაში და სიმხნეში, ყოველგვარ შემთხვევაში გადამეტებულ ჯაფის, ყოველგვარ განსაცდელის და ტანჯვის მოთმენა-გადატანაში.

11. რევოლიუციონური სამხედრო პატიოსნება, რომელიც მოეთხოვება თვითეულ მილიციელს, არის მტკიცედ შეგნება თავისი პირადი ღირსებისა, როგორც მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური მხედრობის და თავისუფალი ქვეყნის მოქალაქისა, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას ღირსეულად და სინდისიერად და არასოდეს არავისგან არ მოითმენს შეურაცყოფას და დამკირებას, ასეთი ღირსება ავალებს მილიციაში მოსამსახურეებს მუდამ დაიცვან ურთიერთ შორის ზრდილობიანობა, პატივისცემა და ღირსეული ყოფა-ქცევა.



თ ა ვ ი 2.

მიჯნობაში მოსამსახურეთა შორის უფლება-მოვალეობანი.

12. მილიციაში მოსამსახურე იცავს რა სასტიკად სამსახურის და სამხედრო დისციპლინის მოთხოვნილებებს, ის მასთან ერთად სარგებლობს ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა თანასწორი უფლებებით.

13. მილიციაში მოსამსახურეები, თანახმად არსებული კანონებისა, პასუხს აგებენ თავისი მოვალეობათა და სამსახურის წესრიგის დარღვევისათვის, მაგრამ დამნაშავეთა დასჯა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით ან დისციპლინარულად, თანახმად ამ წესდებისა.

14. ყოველივე მილიციის მოსამსახურე ვალდებულია აფასებდეს ამხანაგობას, შეელოდეს ამხანაგებს სიტყვით და საქმით, არ დაუშვას ისინი ცუდ საქციელამდე, დაიხსნას ყოველივე განსაცდელისაგან, მეტადრე ბრძოლისა და მტერთან შეტაკების დროს, როდესაც შეიძლება დასჭირდეს მას თავის სიცოცხლის შეწირვა.

15. მილიციაში მოსამსახურემ უნდა ყოველთვის გულმოდგინეთ აკეთოს ის საქმე, რომელსაც მას სამსახური ავალდებს, ესწრებოდეს სამსახურს ყოველთვის თავის დროზე, სინდისიერად ასრულებდეს მოვალეობას და ზუღამ ქონდეს სახეში და ახსოვდეს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესი და მისწრაფებანი.

16. მილიციაში მოსამსახურეს უფლება აქვს ატაროს სამსახურის გარეშე სამოქალაქო ტანისამოსი, ხოლო სამსახურში და სამსახურის ასრულების დროს ის უნდა იყოს ჩაცმული თანახმად დაწესებული ფორმისა.

**შენიშვნა:** საზღვარსა თუ საზღვარსაგარეშე ტანსაცმელის ტარების შესახებ მილიცია ხელმძღვანელობს გარნიზონისადმი გაცემული ბრძანებით.

17. დაწესებულებებში და ნაწილებში სამუშაო და მეცადინეობისათვის აღნიშნულ დროს შესრულებამდე, მოსამსახურეს არა აქვს უფლება მიატოვოს სამსახური მისი უფროსის ნებადაურთველად.

18. მილიციაში მოსამსახურენი სარგებლობენ უფლებებით, თანახმად ამის შესახებ არსებული დადგენილებისა.

19. ყველა მილიციაში მოსამსახურენი, რომელნიც მუდამ ჩინებულად ასრულებენ თავიანთი მოვალეობას, ან გამოიჩინენ თავს რაიმე თვალსაჩინო და რესპუბლიკისათვის სასარგებლო მოქმედებით, შეიძლება დაჯილდოვებული იქმნენ წითელი დროშის ორდენით და მადლობის გამოცხადებით ბრძანებაში, უმაღლეს თანამდებობაზე და-

ნიშნით და სხვა; ვინც მეტი იცის და მეტს აკეთებს, ის ინიშნება უფროსად.

20. მილიციაში მოსამსახურე ვალდებულია სასტიკად დაიცვას მისდამი მინდობილი საიდუმლოებანი და გრიდოს ზედმეტ ლაპარაკს სამსახურის შესახებ მეტადრე მცირე ნაცნობებთან.

თ ა ვ ი 3.

უფროსებთა და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი.

21. უფროსი, რომლის გამგებლობის ან სარდლობის ქვეშ იმყოფებიან სამხედრო ჯგუფი, ერთეული ან ამისი ცალკე ნაწილი, ან სხვა მოსამსახურე პირნი, ვალდებულია გაუწიოს მათ სამსახურის საქმეში ხელმძღვანელობა; ამისთვის მას ეძლევა უფლება თავის ხელქვეითებისადმი გასცეს არსებული წესით სასამსახურებრივი ბრძანება და მოითხოვოს მათგან ამ ბრძანების სწორედ ასრულება. ის ეწევა კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას სამსახურის ჯეროვანად ასრულებაში და ხელქვეითებთა სამხედრო გაწვრთნაში.

22. ხელქვეითები ვალდებულინი არიან შეურყევლად ასრულონ უფროსების მიერ სამსახურის შესახებ გაცემული ბრძანებანი, (გარდა იმ ბრძანებებისა, რომელნიც იქნებიან მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ) და ეწევიან კანონით განსაზღვრული პასუხის მგებლობას უფროსის მიერ გაცემულ ბრძანებათა აღსრულებლობისა ან უმართებულად ასრულებისათვის.

23. როცა ხელქვეითები სწორად ასრულებენ უფროსებისაგან მიღებულ ბრძანებას, ამ ბრძანების შედეგებში პასუხის-მგებელია თვით უფროსი, გარდა ისეთი ბრძანებებისა, რომელიც აშკარად უკანონოა: ამ შემთხვევაში, როგორც ბრძანების გამცემი, ისე მისი აღმასრულებელი, ორივე ერთად აგებენ პასუხს.

24. ხელქვეითი, რომელმაც მიიღო უფროსისაგან აშკარად უკანონო ბრძანება, ვალდებულია არ ასრულოს ეს ბრძანება და დაუყონებლივ აკნობოს ეს ბრძანების გამცემის უშუალო უფროსს, ან თავისი პოლიტიკურ კომისარს, ან მახლობელ უმაღლეს სამილიციო დაწესებულებას იმ მიზნით, რომ სასწრაფოდ იქმნას აცილებული შესაძლებელი ბოროტ-მოქმედება.

25. ხელქვეითი, რომელმაც მიიღო ორი ან რამდენიმე ბრძანება, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ვალდებულია მოახსენოს იმ უფროსს, რომლისაგანაც მიიღო უკანასკნელი ბრძანება, წინადა მიღებული ბრძანების შესახებ, და ამის შემდეგ ასრულოს ის, რასაც უბრძანებს ეს უკანასკნელი უფროსი; მხოლოდ მაშინ ეს უფროსი აგებს პასუხს წინადა გაცემულ ბრძანების გაუქმების ან შეცვლისათვის.

26. ბრძოლის პირობებში უფროსს ევალება



პირადი პასუხის-მგებლობის ქვეშ მიიღოს ყველა ზომები (პოლიტიკური კომისრის წინასწარ ცნობით შეიარაღებულ ძალის დახმარებამდე), ურჩი ხელქვეითის დასამორჩილებლად, რათა ასრულოს მან მისი ბრძანება, თუ ასეთი ბრძანების აუსრულებლობა აბრკოლებს საბრძოლო და მშენებლის ასრულებას.

27. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მილიციაში მოსამსახურეთაგანი სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ან სამსახურის გაჩეხვებამდე, მაგრამ ნაწილის და დაწესებულების ბინადრობის მიდამოში, ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რომელიც არღვევს ამ ნაწილში ან დაწესებულებაში არსებულ წესრიგს, — ყველა უფროსი და აგრეთვე სხვა თანამდებობის პირნი, რომელიც საგანგებოთ არიან დანიშნულნი წესიერების დასაცავად (მორიგე, მისი თანაშემწე და სხვა) ვალდებული არიან მიიღონ სათანადო ზომები (დამნაშავეთა დაპატიმრებამდე) წესიერების აღსადგენად და დანაშაულობის ასაცდენად. მიღებულ ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნაწილის ან დაწესებულების უფროსს ან კომისარს. მთავარი დამნაშავეთა წინასწარ დაპატიმრება შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ მათი გამოფხიზლებამდე.

28. უფროსს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბრძოლის დროს ის წინ მიუძღვის თავის ხელქვეითებს სასიკვდილო საშიშროებისაკენ, ამიტომ მისთვის საჭიროა, რომ ხელქვეითებს ქონდეს სრული ნდობა მისდამი და იყვნენ დარწმუნებული მისი სამსახურებრივი მაღალ ღირსებაში (ავტორიტეტში) ამისთვის უფროსი მოვალეა ეპყრობოდეს სამსახურს, წვრილმალ საქმეებშიაც კი, ისე სინდისიერად, რომის წარმოადგენდეს ამ მხრივ ხელქვეითებისათვის მისაბამ მაგალითს; ის ვალდებულია სასტიკად მოსთხოვოს ხელქვეითებს სამსახურის ასრულება და იმავე დროს იყოს მათდამი სამართლიანი, ლმობიერი, კეთილ-მოსურნი, უბრალო, — ყველასთან სწორი და წყნარი; უნდა კარგად გაეცნოს თვითელ ხელქვეითთს ამხანაგთაგანს და შეველოდეს მათ რჩევით, დარიგებით, გაჭირვების შემსუბუქებით და, მათი მოქალაქობრივი და სამსახურებრივი უფლებათა სასტიკი დაცვით. როგორც რწმუნებული საბჭოთა ხელისუფლებისა, უფროსი მოვალეა ყველა თავის მოქმედებით ჩაუნერგოს ხელქვეითებს შეგნებაში საბჭოთა რესპუბლიკისადმი შეურყვევლი ერთგულობა და თავდადებულობა.

29. სამსახურიდგან თავისუფალი დრო უფროსმა უნდა მოახმაროს თავისი პირადი სპეციალური და საზოგადოებრივ პოლიტიკურ განვითარებას, და

აგრეთვე ყველა საშუალებით ხელს შეუწყოს ხელქვეითთა შორის სამხედრო და სამხედრო ცოდნათა განვითარებას და მათი კომუნისტურ აღზრდას.

30. რევოლუციონური აზრების პატიოსნების და დისციპლინის მართებულ სიმაღლეზე დასაყენებლად უფროსებს ეძლევა უფლება, ამ წესდების საფუძველზე მიიღონ შემდეგი ზომები.

ა) წამახალისებელი ზომები იმ ხელქვეითებისათვის, რომელნიც იჩენენ სამსახურის ცოდნას, მისდამი გულმოდგინებას და წარჩინებულ ყოფაქცევას და

ბ) დისციპლინარული ზეგავლენის ზომები — ცუდ ყოფაქცევისა და დაუდევარ ხელქვეითების წინააღმდეგ.

უფროსების უფლება დისციპლინარულად სასჯელის დადებაში მკათიოდ არის განსაზღვრული ამ წესდების სათანადო მუხლებში.

31. უფროსთა განსაკუთრებული უფლება-მოვალეობანი, მათი თანამდებობის და დაკისრებული მოვალეობათა მიხედვით, აღნიშნულია კერძო წესდებაში და დადგენილებებში (წესდებები შინა სამსახურის, საგარნიზონო, საველე და სამწყობრო, ბრძანებებში შინაგან და სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარებისა და სხვა).

**თ ა ვ ი 4.**

წამახალისებელი ზომების შესახებ.

32. წამახალისებელი ზომები საჭიროა სამსახურში საუკეთესოდ წარჩინებულ მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად, მათ შორის სამსახურის ნიდაგზე საჭირო მოშურნეობის აღსაძრავად სამსახურის სარგებლობის თვალსაზრისით.

33. წამახალისებელი ზომები იხატება:

- 1) მადლობის გამოცხადებაში სამსახურის სახით, სიტყვიერად და წერილობით.
- 2) დანიშვნა უმაღლეს თანამდებობაზე ან წარდგენა ასეთი დანიშვნის შესახებ უმაღლეს მთავრობასთან.
- 3) რწმუნების ან მოწმობის მიცემა სამსახურის ცოდნაში,
- 4) შეგებულებაში დათხოვნა და სხვა შეღავათი, სამსახურის ინტერესის დაუზიანებლად,
- 5) წარდგენა წითელ დროშით ორდენით და საჯილდოვებლად.

34. სამსახურის სახით სიტყვიერად მადლობის გამოცხადების უფლება აქვს ყველა ხარისხის უფ-



როსებს და კომისრებს, მაგრამ სასურველია, მადლობის გამოცხადება ხდებოდეს თვალსაჩინო დაად პირობებში, მაკალითად: მწყობრის წინ, მთელი ნაწილის ან რაზმის წინა და სხვა.

35. სამსახურის სახით წერილობით მადლობა ცხადდება მიწერილობაში ან ბრძანებაში; ასეთი სახით მადლობის გამოცხადების უფლება ენიჭება ცალკე ერთეულის მაზრის, ქალაქის, რკინის გზის და წყლის მილიციის უფროსს მათი კომისრებს და და მათზე მალა მდგომ უფროსებს.

36. უფროსებმა და კომისრებმა, რომელთაც დავალებული აქვსთ უმაღლესი ხელისუფლების მიერ მოსამსახურეთა დანიშვნა სასარდლო თანამდებობაზე, კანდიტატების არჩვის დროს, უპირატესობა უნდა მისცენ მას, ვინც უფრო წარჩინებულია სამსახურში და აქვს შრომის უნარი.

იმ უფროსებს, რომელთაც არა აქვთ მინიჭებული უფლება მოსამსახურეთა მალა თანამდებობაზე დანიშვნისა, უფლება აქვთ იშუამდგომლონ შთავრობის წინაშე ღირსეულ ხელკვეითების მალა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

37. სამსახურის ცოდნაში მოწმობის და რწმუნების მიცემის უფლება ენიჭება გუნდის უფროსს ან მისი თანასწორი თანამდებობის პირს და მათზე თანამდებობით მალა მდგომ უფროსებს.

38. შგებულობაში დათხოვნის დროს პირველი ჯერი ეკუთვნის მას, ვინც უფრო ენერგიულად ასრულებს სამსახურის მოთხოვნილებას. კომისრება და უფროსებს უფლება აქვთ ასეთი მოსამსახურეებს მისცენ სხვა შეღავათიც, თუ ამით სამსახურის საქმე არ შეფერხდება.

39. მოსამსახურეთა წარდგენა და დაჯილდოვება წითელ დროშის ორდენით სასარგებლო ღვაწლისათვის, წარმოებს, თანახმად ამ ორდენისათვის დაწესებული სტატუტისა.

თ ა ვ ი 5.

დისციპლინარული სასჯელთა შესახებ.

40. მზგავსად წითელ არმიისა, მილიციაში უნდა სუფევდეს სასტიკი წესრიგი და შეგნებული დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად უდებს თვით მილიციაში მოსამსახურეთა დაუღალავი მუშაობა. სასტიკი წეს-რიგის დამყარება შესაძლებელია იმ ამოცანათა და მიზანთა სიდიადის შეგნებით, რომ-

მელიც წამოყენებულია სოციალისტურ წესრიგში უციის მიერ, და აგრეთვე მოქმედებათა განყოფილებებით მიხწეული მიზნების განსამტკიცებლად.

41. მილიციაში მოსამსახურე, რომელიც ყოფა-ქცევით და საქციელით არღვევს ნაწილში თუ დაწესებულებაში არსებულ წესრიგს და დისციპლინას და მით უშლის მილიციას თავისი რევოლიუციონური დანიშნულების ასრულებას, არის სრული პასუხის მგებელი ყველა მისი ნამოქმედარის და მის მიერ ჩადენილ უწესოებისა.

42. კომისრებს, ყველა უფროსებთან ერთად, ვვალება, პირველ პასუხის-მგებლობის ქვეშ, სამართალში მისცენ ყველა ის მოსამსახურენი, რომელნიც შემჩნეულ იქნებიან სამსახურებრივი დანაშაულობაში.

43. რევოლიუციონერთა შორის არ უნდა ქონდეს ადგილი დაუდევრებს და მოქთა-ხორებს. ზეგავლენის თვალსაზრისით უფროსებს და კომისრებს უფლება აქვთ თავისი ხელკვეითები, მკირე სამსახურებრივი დანაშაულობისათვის, დაუყონებლივ დასაჯონ დისციპლინარული წესით.

44. მილიციაში მოსამსახურეთა საერთო დისციპლინარული წესით დასჯას ან მათი სამართალში მიცემას აწარმოებს მხოლოდ მილიციის სარდლობა ამ წესდების წესისა და რიგის ფარგლებში (დეკრეტი № 26 მუხლი 26).

45. დისციპლინარული წესით დასჯა ეწოდება, როდესაც კომისარი ან უფროსი თვითონ სჯის თავისი ხელკვეითებს უმნიშვნელო სამსახურებრივი დანაშაულებისათვის, რომელიც გამოწვეულია მისი დაუდევრობით, და არა ბოროტ-მოქმედებით.

46. მილიციაში მოსამსახურენი, მიუხედავად თანამდებობისა შეიძლება დასჯილ იქმნენ დისციპლინარული წესით მათი უფროსების მიერ.

47. კომისრებს და უფროსებს უფლება აქვთ მიუსაჯონ ხელკვეითებს შემდეგი დისციპლინარული სასჯელი:

- ა) მოკონება, გაფრთხილება და შთავონება,
- ბ) საყვედურის გამოცხადება მწყობრში, ბრძანებაში და მიწერილობაში.
- გ) განწესრიგებაში დანიშვნა რიგს გარეშე არა უმეტეს ათი დღე-ღამისა,
- დ) ნაწილის ან დაწესებულების ბინადრობის წასვლის აკრძალვა არა უმეტეს ორი კვირისა,



- ე) დაპატიმრება ორი კვირამდე,
- ვ) დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა,
- ზ) სამსახურიდან დათხოვნა ან სხვა იძულებითი ზეგავლენანი, (ზედ მოქმედებანი) რომელნიც გამომდინარეობენ ადგილობრივ პირობების და გარემოებიდან და არ ეწინააღმდეგებიან წითელ არმიის არსებას და ხასიათს.

**შენიშვნა: 1.** უფროსების ჩამოწევა თანამდებობიდან, ოცეულის უფროსიდან დაწყებული, შეიძლება მხოლოდ კომისრის (პოლიტიკომის) თანხმობით.

**შენიშვნა: 2.** დისციპლინარული ძალა—უფლება რომელიმე უფროსისა ყოველთვის ეკუთვნის ყველა მაღლა მდგომ უფროსებსაც.

ზემოაღნიშნული დისციპლინარული სასჯელის დადება შეიძლება მხოლოდ ქვემოთ აღნიშნული წესით.

1) მაზრის, ქალაქის და რკინის გზის მილიციის უფროსებს და პოლიტიკური კომისრებს, მთავარ სამმართველოსთან არსებული მარქათა რაზმის და სარდლობის კურსების უფროსებს ენიჭება სრული დისციპლინარული ძალა—უფლება ზემოაღნიშნული მუხლებისა, ე. ი. ლეგიონის უფროსების ძალა—უფლება.

2) მათი თანაშემწეებს ენიჭება ათასეულის უფროსის დისციპლინარული ძალა—უფლება, ე. ი. მათ აქვსთ უფლება მიუსაჯონ ხელქვეითებს:

- ა) მოგონება, გაფრთხილება და შთაგონება,
- ბ) საყვედურის გამოცხადება მწყობრში,
- გ) განწესრიგება სამსახურში რიგის გარეშე შეიდი დღე-ღამისა;
- დ) საერთო ბინიდან (ყაზარმიდან)—წასვლის აკრძალვა არა უმეტეს შეიდი დღე-ღამისა;
- ე) ოცეულის და გუნდის უფროსების თანამდებობიდან ჩამოწევა.

ვ) რაიონის და ნავთსადგურის (წყლის) მილიციის უფროსებს ენიჭება გუნდის უფროსის ძალა—უფლება და შეუძლიან მიუსაჯონ ხელქვეითებს:

- ა) მოგონება, გაფრთხილება და შთაგონება;
- ბ) საყვედური მწყობრში;
- გ) სამსახურში განწესრიგება რიგის გარეშე არა უმეტეს 5 დღე-ღამისა;

დ) ბინიდან წასვლის აკრძალვა არა უმეტეს 5 დღე-ღამისა;

ე) ჩამოწევა ათეულის უფროსებისა და წარდგენა ჩამოწევაზე უფროსებისა;

4) რაიონის და ნავთსადგურის მილიციის უფროსების თანაშემწეებს ენიჭება ოცეულის უფროსის ძალა-უფლება და შეუძლიან მიუსაჯონ ხელქვეითებს:

- ა) მოგონება, გაფრთხილება და შთაგონება;
- ბ) საყვედურის გამოცხადება მწყობრში;
- გ) ბინიდან გასვლის აკრძალვა არა უმეტეს სამი დღე-ღამისა;

დ) სამსახურში განწესრიგება იმავე ვადით.

48. კომისრებმა და უფროსებმა დისციპლინარული სასჯელი უნდა შეუფარდონ ხელქვეითის დანაშაულობის სიმძიმეს, დროს, რომელიც მან სამსახურში გაატარა, აგრეთვე მას თუ რა პირობებში ჩაიღინა დანაშაულობა და დამნაშავის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას.

49. დისციპლინარულად მსჯავრ დადებულ მოსამსახურეებს შეუძლია განასაზივრონ-მათზედ დადებულ სასჯელი შემდეგი უმაღლეს უფროსთან.

50. სასჯელის სიმკაცრეზედ საჩივრის შეტანა აკრძალულია თუ დამსჯელმა არ გადააქარბა თავისი ძალა უფლებას.

51. უმაღლეს უფროსს, რომელთან შეტანილი იქნა საჩივარი, შეუძლია გააუქმოს სასჯელი, მაგრამ არა აქვს უფლება მისი შემცირებისა.

52. უმაღლესი ინსტანცია, როცა სცნობს, რომ მომჩივანი უსამართლოდ არის დასჯილი უფროსის მიერ,—ვალდებულია თავის მხრივ დასაჯოს ეს უფროსი დისციპლინარულად, და, თუ—უკანასკნელმა ამ შემთხვევაში გადააქარბა თავის ძალა-უფლებას, უნდა მიცემულ იქნას სამართალში.

**თ ა ვ ი 6.**

ასეულის ხსამხანაგო სასამართლოს შესახებ.

53. დანაშაულობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა გაიჩიოს რევოლიუციონური ტრიბუნალში.

54. სისხლის სამართლის საქმეები უნდა გარ-





ჩეულ იქმნას ადგილობრივ სახალხო სასამართლოში ან ლეგიონის (რაზმის) სასამართლოში.

55. ყველა სამსახურებრივი დანაშაულობა ისჯება დისციპლინარულად უფროსების, კომისრებთან ერთად, ძალა-უფლებით, ან ლეგიონის ან სხვა უმაღლესი სასამართლოში გასამართლებით.

ასეულის საამხანაგო სასამართლოს ექვემდებარება მოსამსახურეთა ისეთი დანაშაულობა, რომელიც არ არის მილიციაში სამსახურთან დაკავშირებული, არ არის სავნო სახელმწიფოსათვის, მაგრამ ეწინააღმდეგება არსებულ ჩვეულებას, ზნეობრივად საძრახისია და ცხოვრების მოთხოვნილებების თვალსაზრისით არ არის დასაშვები.

56. ასეულის საამხანაგო სასამართლო შესდგება სამი მუდმივი და ორი სათადარიგო წევრებიდან. ყველა წევრები უნდა არჩეულ იქმნენ საერთო, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით, სამი თვის ვადით.

57. სასამართლოს შემადგენლობა თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

58. სასამართლოს წევრად არ უნდა იყოს არჩეული ისეთი პირები, რომელნიც იმყოფებიან გამოძიების და სამართლის ქვეშ ან დასჯილნი იყვნენ სასამართლოს დადგენილებით.

59. როცა სასამართლოს შემადგენლობიდან გადის დროებით რომელიმე წევრი მისი მაგიერობას ეწევა ის სათადარიგო წევრი, რომელმაც არჩევნების დროს მიიღო უფრო მეტი ხმა იმ შემთხვევაში, როდესაც მუდმივი ან სათადარიგო წევრები სრულიად ვადიან სასამართლოს შემადგენლობიდან დანიშნულ ვადაზე ადრე, ახალი წევრების არჩევა უნდა მოხდეს—საერთო წესით.

60. სასამართლოს წევრების სრულიად მოხსნა შეიძლება დანიშნულ ვადის ადრეც.

61. სასამართლოში საქმის აღძრისათვის საჭიროა, როგორც საბაზი, კომისრის, უფროსის ცალკე მოსამსახურის ან მოქალაქის—განცხადება.

62. ყველა გარემოების განხილვისა და ბრალდებულიდან ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ სასამართლო ადგენს განაჩენს.

63. სასამართლოში თათბირი წარმოებს საიდუმლოდ, ხოლო სასამართლოს გამოძიება აშკარად.

64. სასამართლო სწყვეტს საქმის დანაშაულობის შესახებ გარემოებათა მიხედვით, რომელნიც გამოარკვეულ იქმნენ საქმის გარჩევის დროს და ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს კომუნისტური სამართლიანობის შეგნებით და სინდისით.

65. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს დადგენილი ხმის უმეტესობით; გამოტანილი სასჯელი—ჩაიწერება კერძო ეურნალში.

66. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იქმნას მოყვანილი სისრულეში დაუყოვნებლივ. განაჩენს ხელს აწერენ მსაჯულები და მათ შორის ის მსაჯულიცა, რომელიც დარჩა უმცირესობაში.

67. სასამართლოს წესიერად მოქმედებას თვალყურს ადევნებს კომისარი.

68. საამხანაგო სასამართლოს დადგენილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

69. ასეულის საამხანაგო სასამართლოს ექვემდებარებიან საქმენი:

ა) შეურაცყოფა ამხანაგისა საშახურის გარეშე, სიტყვით ან საქმით, სადაც მძიმეთ გალახვას არ აქვს ადგილი,

ბ) ლოთობა, ბანქოს თამაში, საძრახისი საქციელი მწყობრის და სამსახურის გარეშე და აგრეთვე სხვა გვარი საქციელი და მოქმედება თანახმად ამ წესების 55 მუხლისა.

70. როგორც ზეგავლენის და გამასწორებელ ზომას, საამხანაგო სასამართლო უნიშნავს სასჯელს თანახმად ამ წესების 47 მუხლისა.

71. ასეულის საამხანაგო სასამართლოში იწერება სხდომის ოქმი.

72. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეულის საამხანაგო სასამართლო არ სცნობს საკმარისად თავის ძალა-უფლებას, საქმე უნდა გადაეცეს სხვა უფრო მაღალ სასამართლოს, როგორც, მაგალითად: ადგილობრივ სახალხო სასამართლო, რევოლუციონური ტრიბუნალი და სხვა.

73. სასამართლოს წევრნი განთავისუფლებულ უნდა იყვნენ სამსახურში განწესრიგებიდან, მხოლოდ სასამართლოში თავის მოვალეობის ასრულების დროს.

74. ასეულის სასამართლოს არ შეუძლია გაარჩიოს საქმე ასეულის უფროსის შესახებ, მაგრამ აქვს უფლება აღძრას შუამდგომლობა კომისრის



უფროსის წინაშე ასეულის უფროსის სამართალში მიცემის შესახებ.

75. სასამართლოები სწყვეტენ საქმეს სასამართლოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით.

76. სასამართლომ არ უნდა განსაზღვროს თავისი მოქმედება, მხოლოდ არსებული ფორმალური კანონებით, არამედ ის უნდა ხელმძღვანელობდეს აგრეთვე სამართლიანობის დაცვას მოსაზრებით, ამიტომ მას შეუძლია უარყოს ყოველივე მოტივები დაწესებული ვადის გასვლის შესახებ და, წინააღმდეგ ფორმალურ ხასიათის მოსაზრებათა, გამოიტანოს აშკარად სამართლიანი დადგენილებანი.

77. წინასწარ გამოძიების წესით ყოველნაირ დანაშაულობისათვის დაპატიმრების (დაკავების) უფლება აქვს ნაწილის ან დაწესებულებას უფროსებს ასეულის უფროსიდან დაწყებული.

78. თუ რომელიმე სამილიციო ნაწილში ან გუნდში საამხანაგო სასამართლო არ შედგა, უკანონო არჩევნების ან სრულიად არ შემდგარი არჩევნების გამო ან სხვა მიზეზების გამო, ან როცა ასეული მასში შემოსულ საქმეებს ვერ გააჩვენს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან მათი შემოსვლისა სასამართლოში, — მაშინ სასჯელის დადების უფლება გადადის კომისარზე, რომელიც ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომები ასეულის საამხანაგო სასამართლოს მოწყობისა და მის წესიერად მოქმედების შესახებ.

79. ვინაიდან კომისრებს და უფროსებს აქვსთ უფლება წინასწარ გამოძიების წესით დაპატიმრებისა და შექმედში სასამართლოში მიცემის, იმათგანვე არის დამოკიდებული — მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში, ან სცნონ საკმარისად დისციპლინარული სასჯელი: მოგონება მწყობრში ან მწყობრის გარეშე.

თ ა ვ ი 7.

დასჯა-დაჯილდოების ჟურნალი.

80. ყოველ სამილიციო ერთეულში ან დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს დასჯა-დაჯილდოების ჟურნალი: ერთი — მილიციის სარდლობის და უფროსი თანამშრომელთათვის და მეორე მილიციელთა და დაბალ ხარისხის მუშა-მოსამსახურეთათვის.

81. დასჯა-დაჯილდოების ჟურნალში შეტანილ უნდა იქმნას ყველა შემთხვევები მოსამსახურე-

რეთა დაჯილდოების (წამახალისებელი ზომები) ან დასჯის (ზეგავლენის ზომები) შესახებ. (თავი 4 და 5 ამ წესდების). ამავე ჟურნალში შეიტანება აგრეთვე სასამართლოს მიერ დადებული სასჯელიც.

82. დასჯა-დაჯილდოების ჟურნალში უნდა იყოს აღნიშნული: ვინ, როდის, რისთვის, რითა და ვისგან იქმნა დაჯილდოებულის, ან დასჯილის.

83. დასჯა-დაჯილდოების ჟურნალს აწარმოებს ერთეულის ადიუტანტი, კანცელარიის უფროსი, საქმის მწარმოებელი ან მდივანი.

84. დასჯა-დაჯილდოების ჟურნალის წესიერად წარმოებას თვალ ყურს ადევნებს ერთეულის ან დაწესებულების უფროსი.

85. ინსპექციის დაშინჯვისა დაკითხვის დროს ინსპექციის მომხდენი უფროსმა უსათუოდ უნდა გაშინჯოს დასჯა-დაჯილდოების ჟურნალი და აღნიშნოს მასზედ თავისი აზრი ან დასკვნა დადებულ სასჯელთა სამართლიანობის ან შეუსაბამობის შესახებ.

86. მილიციაში ყველა მოსამსახურეთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ან ერთი უწყებიდან მეორე უწყებაში გადაყვანისას საჭიროა მათი შესახებ, წერილობითი ცნობებთან ერთად, გაიგზავნოს აგრეთვე ამონაწერი დასჯა-დაჯილდოების ჟურნალიდანაც.

თ ა ვ ი 8.

საჩივრების შესახებ.

87. მილიციაში მოსამსახურეებს, როგორც ყველას ს. ს. ს. რესპუბლიკის მოქალაქეს, უფლება აქვთ შეიტანონ განცხადება კომისრების და უფროსების უკანონო და უსამართლო მოქმედების შესახებ. ასეთ განცხადებას ეწოდება საჩივარი.

88 მილიციაში მოსამსახურეთ არა აქვთ უფლება საჩივრის შეტანისა მწყობრში ყოფნის ან სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს.

დანარჩენ შემთხვევებში საჩივრების განცხადების შესახებ მილიციის მოსამსახურენი უნდა მოიქცნენ ისე, როგორც ყოველი მოქალაქე ს. ს. ს. რესპუბლიკისა.

განმარტავითი ბარათი

ს. ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა მიჯიციის მოსამსახურეთათვის შემუშავებული დისციპლინარული წესდების შესახებ.

1. მუშათა და გლეხთა მილიციის, როგორც შეიარაღებულ სამხედრო ორგანოს ენიჭება მნიშ-



ველობა საგანგებო დანიშნულების შეიარაღებულ ნაწილისა, აქედან გამოძინარე უფლებით და მოვბლეობით (დეკრეტი № 26, 1921 წ. § 3).

2. მილიციაში შემოღებულია: სავალდებულო სამხედრო გაწვრთნა იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა ოცეულისათვის, სამხედრო დისციპლინა და სასტიკი დაქვემდებარება; ამ მხრივ მილიცია ხელმძღვანელობს იმ წესით და დადგენილებით, რომელიც მიღებულია წითელ არმიაში (§ 7).

3. მილიციის წევრნი თავის მოქმედებისათვის პასუხს აგებენ:

ა) დისციპლინარულ წესით, თანახმად დისციპლინარულ სასჯელთა წესდებისა, რომელიც შემუშავებულია მიწიციის მთავარ სამმართველომ მიერ, სამხედრო დისციპლინარულ წესდების მიხედვით;

ბ) სასამართლოს წესით, თანაბრად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა, ხოლო ჩადენილ დანაშაულობისათვის იხდიან უადრეს ხარისხის სასჯელს. სისხლის სამართალში მისაცემად საქმის აღძვრა მილიციაში მომუშავეთა ბოროტ-მოქმედებისა და სამსახურში დაუდევრობის გამო, სწარმოებს—საზოგადო წესით, წერილობითი განცხადების მიცემით სახალხო სასამართლოში ან რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალში (§ 12).

4. მილიციის მოხელეთა საერთო დისციპლინარულ წესით დასჯას იქ მათი სამართალში მიცემას აწარმოებს სათანადო მილიციის სარდლობა, დისციპლინარულ წესდების წესისა და რიგის ფარგლებში (§ 26).

თანახმად დეკრეტის № 26 ზემოაღნიშნული მუხლებისა მილიციის მთავარ სამმართველომ შეი-

მუშავა მილიციაში მოსამსახურეთათვის დისციპლინარული წესდება.

შედგენილი დისციპლინარული წესდებას საფუძვლად დაედო:

1. უმთავრესად—საბჭოთა რუსეთის წითელ არმიის დისციპლინარული წესდება;

2. საქართველოს ჯარის დისციპლინარული წესდება;

3. დეკრეტი № 26 დებულება მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ;

4. დეკრეტი № 55—ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეთათვის დისციპლინარული და ადმინისტრატიული სასჯელის დაწესების შესახებ.

თანახმად წითელ არმიის დისციპლინარული წესდებისა სრული დისციპლინარული ძალა-უფლება ენიჭება ლეგიონის უფროსს. ამისდა მიხედვით, თანახმად სამილიციო დისციპლინარული წესდებისა, სრული დისციპლინარული ძალა-უფლება მიეკუთნება მაზრის, ცალკე ქალაქის და რკინის გზის მილიციის უფროსებს ე. ი., ამ უფროსებს ენიჭება ლეგიონის უფროსის ძალა-უფლება; მათ თანაშემწეებს—ათასეულის უფროსის, რაიონის მილიციის უფროსებს—გუნდის უფროსის და მათ თანაშემწეებს ოცეულის უფროსის—დისციპლინარული ძალა-უფლებანი. (იხ. ინსტრუქცია შინ. საქ. სახალხო კომისრისა. 5 მაისი 1921 წ. მუხლი 1)

ს. ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსი რატიშვილი.

პოლიტკომი ი. იოვჯიძე.

სამილიციო განყოფილების უფრ. გ. ქავთარაძე.

# ა რ ა - ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს საბჭოების კირველი პრილოგა

საქართველოს პროლეტარიატის განთავისუფლების წლის თავი აღინიშნა მეტად ღირსშესანიშნავი ფაქტით—სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის გახსნით.

საქართველოს პროლეტარიატს პირველად მიეცა საშუალება თავისი ნების ყოფის, თავის მისწრაფებათა და სურვილთა აშკარად და მძლავრად გამოხატვისა.

საქართველოს საბჭოების ყრილობა საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის ისტორიაში ახალ ერას ქმნის.

ამიერიდან საქართველო თავისი კონსტიტუციითაც სავსებით გახდა საბჭოთა რესპუბლიკა; საბჭოთა ყრილობა—საბჭოთა სახელმწიფოს უმაღ-

ლესი საკანონმდებლო ორგანო არის, იგი არის პროლეტარიატის ნებისყოფის უმაღლესი გამოხატველი.

საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითადი იდეის თანახმად საბჭოთა ყრილობა, რომელიც იკრიბება პერიოდულად განსაზღვრულ ვადებში, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში სასწრაფოდ, სრული გამომხატველი არის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ ნებისყოფისა, იგი განსაზღვრავს მთავრობის მოქმედების და მოღვაწეობის პოლიტიკას ყოველ დარგში; იგი ქმნის მთელ ეპოქებს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობასა და განვითარებაში არა მარტო იმიტომ, რომ მისი შეკრება ნიშნავს პროლეტარულ ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესის, საორგანიზაციო პერიოდის დამთავრების



და მუშათა კლასის რევოლუციონერ აღმშენებლობაში ახალ პერიოდის დასაწყისს, არამედ იმით-ტომაც, რომ ჩვენ დღეს ვართ განსაკუთრებულ მომენტში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა სრული ბატონ-პატრონი არის მთელი საქართველოს მიწა-წყლისა, ქართველი ერის განსაკუთრებულ და მძიმე ისტორიულ მომენტში.

თანამედროვე ისტორიულ მომენტით შექმნილი კონიუნქტურა, შედეგი იმ შინაგან და გარე-შე პირობათა, რომელშიაც არის ჩვენი ქვეყანა, უფრო მეტი დაჟინებით, ვიდრე ოდესმე, მოითხოვს საქართველოს რევოლუციონერ პროლეტარიატის ავტორიტეტულ სიტყვას. და აი, ამ შემთხვევაშიაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, თვისი ყრილობის სახით, გარკვეულად, გადაჭრით და მკაფიოდ გამოსთქვეს თვისი შეუღრეკელი ნებისყოფით ნაკარნახევი სურვლები და მისწრაფებები.

საქართველოს პროლეტარიატმა საბჭოების სახით წარკვავნეს თვისი არჩეული დელეგატები, რომლებმაც ჯგეროვანი პასუხები გასცეს საბჭოთა აღმშენებლობის ყველა საკითხებს, მის შინაგან და და გარეშე პოლიტიკას.

სასურსათო კრიზისი მეტად გამწვავებული არის —ზოგიერთ მაზრებში სიმშობობა უკვე დაიწყო და ამ გარემოებას ყრილობამ სათანადო ყურადღება მიაქცია. მან უკვე სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ამ მწვავე კითხვის მოსაგვარებლად. ყრილობა ავალებს ყველა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, რომ მიიღონ ყოველგვარი ზომები სიმშობობის წინააღმდეგ და ხელი შეუწყონ იმ სასურსათო გეგმის აღსრულებას და ცხოვრებაში გატარებას, რომელიც ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორათაგანია დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად და პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური ბაზის გასამაგრებლად.

საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობას მიმდინარე მომენტში განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ საბჭოთა ყრილობამ მთელი ქვეყანას დაუმტკიცა, ვინ არის საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონი.

მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველმა ყრილობამ წყველა-კრულვით და შეჩვენებით მოიხსენია მენშევიკების მოღალატური და მუხანათური პოლიტიკა და მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა თუ როგორი არის ქართველი მშრომელი ხალხის ნების ყოფა. მენშევიკების პროვოკაცია და ჭორებმა არ გასჭრეს და საქართველოს რევოლუციონერ მუშებმა და გლეხებმა სრულის სიმშვიდით და ნდობით მისდევნ თავის ბეზადებს და ხელმძღვანელებს და ზიზლით აღსავეს გაკიცხვას უცხადებენ საერთაშორისო კავიტალის ლაქიებს და 2—2<sup>1/2</sup> ინტერნაციონალის მეთაურებს.

ყრილობამ მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მშრომელთ, რომელშიაც ცხადად და ნათლად არის გარკვეული საქმის ნამდვილი ვითარება.

ამგვარად საქართველოს რევოლუციონერ მუშების და გლეხების ნამდვილი ზრახვები და სურვლები სავსებით გამოაშკარავდა საბჭოების პირველ ყრილობაზე, სადაც თავისუფალი არჩევნებით წარმოგზავნილი იყვნენ მშრომელი ხალხის წარმომადგენლები.

საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის სახით მთელმა მსოფლიო პროლეტარიატმა უკვე იხილა ქართველი მშრომელი ხალხის მისწრაფებანი და გაიგო, სად არის სიმართლე —ქეშმარიტება და სად არის ინსინუაცია და პროვოკაცია.

ლისარ.

### იურიდიული შანიშვნაჰი \*)

აპელაცია აუ კასაცია?

სახალხო სასამართლოს დებულება, რომელიც 1921 წლის ივლისის 30-ს გამოქვეყნდა საქართველოში, წარმოადგენს იურიდიულ სფეროში ახალ მოვლენას. იგი ჰქმნის სასამართლოს იმისთანა ფორმას, იმისთანა სტრუქტურას, რომელიც დიდათ განსხვავდება აქამოდე არსებული იურიდიული პრინციპებისაგან. დებულების ცხოვრებაში გატარება ხშირად ხვდება ხოლმე წილად იურისტებს, რომელნიც სხვა იურიდიულ მიმართულებაზედ არიან აღზრდილნი. აქედან ადვილათ გასაგებია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე აზრი დავიწყებულია კანონში, ან გარკვევით გამოთქმული არაა, ან და რაიმე ეჭვს იწვევს, —სასამართლოს წარმომადგენლები დებულების დედა-აზრს უნებლიეთ სტოვებენ და 1864 წლის სამოქალაქო სამართლის წესდებისაკენ იხრებიან. აქ იბადება მრავალი საინტერესო საკითხი, რომელთა შესახებ ჩვენ გვინდა საუბარი გავმართოდ „მოამბის“ მკითხველებთან. პირველი წერილისთვის, ავიღებთ საკითხს, თუ რა კომპეტენციით არის აღჭურვილი სახალხო მოსამართლეთა საბჭო, ესე იგი რა ფარგლებში არჩევს იგი სამოქალაქო საქმეს—სააპელაციო თუ საკასაციო წესით. სხვა ნაირათ რომ ვსთქვათ, აქვს თუ არა მოსამართლეთა საბჭოს უფლება, ყოველივე საქმე არსებითად განიხილოს?

1

ეს კითხვა რომ სამართლიანად გადავჭრათ, საჭიროა, თვალი გადავაფლოთ იმ წყაროს, საიდანაც ჩვენი დებულება წარმოიშვა,—საჭიროა, განვიხილოთ სახალხო სასამართლოს დებულება, რომელიც 1918 წლის ნოემბრის 15-ს გამოქვეყნდა რუსეთში.

\*) სადისკუსიო.



სამოქალაქო საქმეთა შესახებ,—რომელიც ჩვენ განსაკუთრებით გვაქვს აქ სახეში,—სამართლის წარმოების წესდებაში (устав гражданского судопроизводства) იყო გატარებული ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის ძალით ყოველივე სამოქალაქო საქმე—ორ ინსტანციაში უნდა გარჩეულიყო **არსებითად (11 მ.)** ჯერ გაირჩევოდა ოლქის სასამართლოში და შემდეგ, თუ რომელიმე მხარე მოითხოვდა, სამოსამართლო პალატაში გადავიდოდა აპელაციის წესით, არსებითად განსახილველად. ეს პრინციპი უარ ჰყო რუსეთის **სახალხო სასამართლოს დებულებაში**. 74 მუხლი ამ დებულებისა გარკვევით აღიარებს, რომ „სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დაბოლოებითია (ხაზს ჩვენ უსვამთ ყოველგან) და სააპელაციო წესით არ გასაჩივრდება“. შემდეგი — 75 — მუხლი ამბობს: „...სამოქალაქო საქმის შესახებ შეიძლება გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნას **საკასაციო წესით** სახალხო მოსამართლეთა საბჭოში“. ხოლო მე-89 მუხლი, რომელიც ოდნავ გაუგებრობას იწვევს, ამნაირად არის გამოთქმული: „სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ იგი იცნობს, რომ დეკრეტი არსებითად დარღვეულია ან უწესოთ შეფარდებულ-გატარებული ან და სამართლის წარმოების წესი დაცული არაა... მოსამართლეთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გასაჩივრებული განჩინება ცხადად უსამართლოა“. —როდესაც საბჭო გადაწყვეტილებას მოშლის, ის საქმეს „სხვა სახალხო სასამართლოს გადასცემს **არსებითად ხელმეორედ განსახილველად**“ (92 მ.)

აქედან თავისთავად ცხადია, რომ საბჭოს არა აქვს უფლება, საქმის არსებითი მხარე თავის მსჯელობის საგნად გახადოს. მართლაც, თუ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დაბოლოებითია და სააპელაციო წესით არ გასაჩივრდება; თუ მოსამართლეთა საბჭოში შედის მხოლოდ საკასაციო და არა სააპელაციო საჩივარი; თუ საბჭო არღვევს გადაწყვეტილებას ფორმალურ საფუძველის მიხედვით და თუ, დაბოლოს, გააუქმებს — რა განჩინებას, თვითონ საქმეს **არსებითად არ** არჩევს, ხოლო სახალხო სასამართლოს გადაუგზავნის არსებითად ხელმეორედ განსახილველად, — აშკარა უნდა იყოს ყველასთვის, რომ საბჭო არაა აღჭურვილი უფლებით, რომ იგი საქმის არსებით მხარეს შეეხოს და ამ მხრივ სასამართლოს განჩინება დაიწუნოს.

ამ სახით, ექვს გარეშეა, რომ, წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლის წესდებისა (уст. гражд. судопр.) რუსეთის დებულება 1918 წლისა მოითხოვს, რათა არსებითად მხოლოდ ერთ ინსტანციაში — სახალხო სასამართლოში — გაირჩეს საქმე. რითი უნდა აიხსნას დებულების ასეთი განსხვავება სამოქალაქო სამართლის წესდებისაგან (уст. гр. суд)? რასაკვირველია, სასამართლოს განსხვავებული

შემადგენლობით, განსხვავებული ტიპით, სტრუქტურით, რომელზედაც ახალი სასამართლო აგებული. ამ სასამართლოს დებულებაში სახალხო სასამართლოთ უწოდებს და სახალხო იმ სასამართლოს ჰქვიან, რომელშიდაც მსაჯულთა უმეტეს ნაწილს ხალხის წარმომადგენლები შეადგენენ. ხალხის წარმომადგენლები, ხალხის მიერ არჩეულნი მსაჯულნი, როგორც არა სოციალისტები არჩევენ საქმეს არა ფორმალურ დამტკიცებათა მიხედვით, არამედ მართა თავის სვინდისით, რომელიც საქმის ფაქტიურ მხარის აწონ-დაწონას და შეფასებას ედება საფუძველად. ეს ისეთივე სამართალია, როგორნიც არიან სისხლის სამართლისათვის რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ერთმანეთის „შეფენგერისტი“, — სასამართლოები, რომელიც განაჩენს თავის სვინდისზე ამყარებენ. და განა შეიძლება, არსებითად გაარჩიოს, გადასინჯოს მეორე ინსტანციაში ის განჩინება, რომელიც მსაჯულთა შეხედულებაზე, მათ რწმენაზე და სვინდისზეა დამყარებული! ხალხის წარმომადგენელს ებადება ესა თუ ის შეხედულება და გადაწყვეტილება არა მართა ფაქტების და დამტკიცებათა ლოლიკურ შეფარდების და შეთანასწორების ნიადაგზე, არამედ მისი გამოცდილების მიხედვითაც, მისი გულის თქმისა და სვინდისის მხელით. ამის ახსნა-განმარტებას და დამტკიცებას ხშირად ვპოვებოდათ ხოლმე იურიდიულ ლიტერატურაში, რომელიც ეხება ნაფიც მსაჯულთა მოღვაწეობას რუსეთში.

ჩვენ არ გვინდა ვილაპარაკოთ აქ იმაზე, თუ რამდენათ მისაღებია პროცესის ეს თეორია ცხოვრების რთულ სამოქალაქო ტრიალში (граждан. оборот). მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაარსებამდე იყო გამოთქმული ლიტერატურაში (ს. ა. მურომცვეი. 1880 წ.) აზრი რომ სახალხო ვლემენტისამოქალაქო საქმეთა სამართალშიაც დასაშვებიაო (допустимо участие народного элемента в гражданской юстиции) მაგრამ ამ თეორიას ცივილისტთა მთელი წყება წინააღმდეგა, განმარტა — რა, რომ დღევანდელი რთული სამოქალაქო ტრიალი (сложный гражданский оборот), სპეციალურ იურიდიულ ფორმებზე დამყარებული, აუტანელი ტვირთი იქნება არა სპეციალისტთა, სახალხო წარმომადგენელთათვის. ჩვენ აქ, ვიმეორებთ, ეს საკითხი არა გვაქვს სახეში, გვინდადა მხოლოდ გამოგვერკვია ის დედა-აზრი, რომელიც სახალხო სასამართლოს უძევს საჩრუოდ.

ლირს შესანიშნავია, რომ თვით რუსეთში ის ესმით მოსამართლეთა საბჭოს უფლება — მოვალეობა (კომპეტენცია), როგორც ჩვენ ეს ზევით ავხსენით. აქაც ამტკიცებენ, საბჭოს არა აქვს უფლება, საქმის არსებითი მხარის განხილვაში შევიდესო. იუსტიციის კომისარმა, მოქ. კურსკიმ, ერთი საინტერესო წერილი მოათავსა ჟურნალში „პროლეტართა რევოლიუცია და სამართალი.“ აღნუსხა — რა მართლმსაჯულების გარანტიები და მათ რიცხვში აპელაციის უფლებაც, მან წარმოსთქვა თავის წე-



რილში: „ამ თეორიიდან პროლეტართა რევოლიუციას ერთი ქვაც არ დაუტოვებია“ შემდეგ გადადის—რა განსაკუთრებით აპელაციის მნიშვნელობაზე, განაგრძობს იგი: „უფლება, რდმლის ძალით შეიძლება გადატანილიყო სამოქალაქო საქმე მეორე ინსტანციაში აპელაციის წესით, ესე იგი არსებითად გასანიღველად, — ეს უფლება უკუგდებულია სახალხო სასამართლოს დეკრეტით. თვით სტრუქტურა სასამართლოსა, რომელშიდაც გადაწყვეტი მნიშვნელობა პროლეტართა და გლეხთა წარმომადგენლებს ეკუთვნის, — თვით სტრუქტურა, ვამბობთ, იწინააღმდეგება, რომ ის ვერ იგუებდეს სასამართლოს გადაწყვეტილება ხელმეო. რად გადასინჯული იქნას მეორე ინსტანციაში ეს იპიტომ, რომ საქმე წყდება ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით, და ხალხურ ელემენტს სასამართლოში ბურჟუაზიული მეცნიერებაც სთვლიდა გამაწყვეტ ფაქტორად, რომელიც არ უშვებს (не допускает) საქმე გადასინჯული იქნას არსებითად მეორე ინსტანციაში“.

კომენტარები აქ საქირო არაა: ის იურისტი, რომელსაც დიდი დეაწლი უდევს რუსეთის დებულების შედგენაში, ადასტურებს, რომ, ამ დებულების ძალით, არ შეიძლება საბჭოში საქმე იქნას არსებითად გადასინჯული. ამას სახალხო სასამართლოს სტრუქტურა ეწინააღმდეგება.

მაგრამ, აი, მაინც გვეკამათებია. დებულების 89 მუხლში ნათქვამია, რომ საბჭოს შეუძლია გადაწყვეტილება გააუქმოს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს „გადაწყვეტილება ცხადათ უსამართლოა“. და როგორ უნდა დავრწმუნდეთ — განგრძობენ ოპონენტები, — რომ გადაწყვეტილება „აშკარად უსამართლოა“, თუ ვერ შევალთ საქმის არსებითი მხარის, საქმის ფაქტიურ მასალის განხილვაში.

რომელი იურისტები ამბობდენ: vitanda est interpretatio, quae legistatores infames faciat“. — ისე ნუ ვიგულისხმებთ კანონსო, რომ ამით კანონმდებელი როგორმე დავამციროთ, შეცდომა, ანუ უცოდინარობა მივაწეროთ. ჩვენ კი სწორეთ რომაელთა თქმულების წინააღმდეგ წავიდოდით, თუ კი სიტყვას „ცხადათ უსამართლოა“ გავიგებდით ისე, როგორც ამას ჩვენი მოწინააღმდეგენი ხსნიან. მართლაც, გამოდის, რომ კანონმდებელი თითქმის დე ულებების ყოველივე მუხლში ხაზს უსვამს, საბჭომ არსებითად საქმე არ განარჩიოსო, მაგრამ იმავე კანონმდებელს შეუტანია იმავე დებულებაში ისეთი მოთხოვნა, რომლის აღსრულება აუცილებლად იწვევს საქმის არსებითად გარჩევას, ესე იგი გარჩევას ყველა იმ ფაქტიური მასალისა, რომელიც სახალხო სასამართლოს სახეში ჰქონდა საქმის გარჩევას დროს. აქ აზრთა პირდაპირი უთანხმოება, წინააღმდეგობაა. მაშასადამე, ექვს გარეშე უნდა იყოს, რომ კანონმდებელი არ აძლევდა სი-

ტყვებს „აშკარა უსამართლოა“ იმ მნიშვნელობას რომელსაც ჩვენი ოპონენტები აძლევენ.

პირველად, ის უნდა ვიკითხოთ, რატომ სიტყვები „ცხადათ უსამართლოა“ უთუოდ უნდა დაუხატოვოთ, უნდა მივაწეროთ საქმის ფაქტიურ მხარეს? მგონია, ყველა ენაზე „სამართალი“, „სამართლიანობა“ ერთ და იმავე ძირიდან (jus, justitia) წარმოსდებება. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სიტყვებში იგულისხმება საქმის იურიდიული სფერო. უფლებრივა შემეცნება და არა საქმის ფაქტიური მდგომარეობა? მაშასადამე, საბჭომ ეს) „სამართლიანობა“ ან „უსამართლობა“ უნდა ეძიოს არა იმ გზით, რომ განიხილოს საქმის ყოველივე მასალა, არამედ თავის ყურადღება უნდა მიექციოს იურიდიულ მხარეს, იურიდიულ შემეცნებას და გამოარკვიოს, თუ რამდენად უფლებრივი შემეცნება, განჩინებაში დადასტურებული, მისაღებია. ეს თვალსაზრისი საფსებით გასაგებია და მისაღები, თუ გავიხსენებთ იმ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს, რომლებშიდაც რუსეთის დებულება წარმოიშვა. ცხადია, რომ ამ დეკრეტს, ამ პროცესუალურ კოდექსს ადგენენ რუსეთში სასწრაფოთ, ადგენენ მაშინ, როდესაც, სხვათა შორის, მატერიალური უფლების (материальное право) კოდექსიც არ ჰქონდათ. მანამდე არსებული კანონები მოსპვს, — ახალი კი არსად იყო გამოარკვეული და დაწერილი. ძველი უფლება (право) უნდა შეცვლილიყო ახალი, პროლეტარული უფლებრივი შემეცნებით, მაგრამ ამ შემეცნების კოდექსი კი — ვამბობთ — არსად იყო. აი, ამ შემთხვევაში, კანონმდებელი იძულებული იყო ამ შემეცნების, საქმის იურიდიული მხარის გამოკვლევა, ამ პროლეტარული „სამართლიანობის“ და „უსამართლობის“ ახსნა — განმარტება მეორე ინსტანციისთვის მიენდო. ამ სფეროში საბჭოს უპირატესობა ეძლევა: კანონმდებელი ფიქრობს, რომ მოსამართლეთა საბჭო უფრო დახელოვნებული იქნება ამნაირ შემთხვევებისათვის, ვიდრე სახალხო სასამართლო.

ამ შეხედულებაში კიდევ უფრო ვრწმუნდებით, როდესაც ყურადღებას მივაქცევთ სიტყვას „ცხადათ“. რისთვის არის აქ ეს სიტყვა? თუ გადაწყვეტილება უსამართლოა, ის უსამართლო იქნება არა თუ მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უსამართლობა თვალში გვეცემა, არამედ მაშინაც, როდესაც ის სადღაც, საქმის ფაქტიურ მასალებშია მიმაღული. მაგრამ კანონმდებელი კი თითქო ამბობს: როდესაც უსამართლობა ცხადია, შეიძლება განჩინება გაუქმდეს; როდესაც იგი საქმის არსებითი მხარეშია ჩაფლული, ნუ ეძიებ, განჩინება ძალაში უნდა დარჩეს. რაღა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭო ვერ შეეხება ფაქტიურ მასალას „სამართლიანობის“ ან „უსამართლობის“ გამოსარკვევად. ეს „უსამართლობა“ ცხადი უნდა იყოს, ესე იგი აშკარად უნდა ჩნდეს თვით სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რეზოლიუციიდან.



გადაწყვეტილება, რევოლიუცია კი უფლებრივ მხარეს ეხება ყოველთვის. აქედან ცხადია, რომ საბჭომ ფაქტიური გარემოება უნდა მიიღოს ისე, როგორც ეს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მოყვანილი და დადასტურებული. საბჭო ვერ შევა, მაგ, იმის განხილვაში, კანონიერად თუ უკანონოდ მოიქცა სახალხო სასამართლო, როდესაც მან მოწმე ივანეს ჩვენება სარწმუნოდ იცნო, ხოლო მოწმე პეტრეს არ დაუჯერა. ან და საბუთებიდან ერთი აზრი გამოიტანა და არა მეორე, რომელიც, შესაძლებელია, საბჭოს უფრო მოსწონდეს.

მაგრამ საქმის ფაქტიურ მდგომარეობას სასამართლოს უფლებრივი, იურიდიული დასკვნა მოსდევს ხოლმე, ვთქვათ, სასამართლომ, საქმის გარემოებათა მიხედვით, დაადგინა: გადახდეს მოპასუხეს მძიმეების სასარგებლოდ ამდენი და ამდენი მანეთი. საბჭო ვერ იტყვის, რომ ეს განჩინება საქმის გარემოებას ეწინააღმდეგება, თუ ამ დასკვნამდე მივიდა სასამართლო კანონიერი გზით. მაგრამ შეუძლია, განჩინება დაარღვიოს მხოლოდ მაშინ, თუ იცნობს, რომ ფულის გადახდა იმ პირობებში, რომელნიც თვით სასამართლომ დაადასტურა, ეწინააღმდეგება დღევანდელ უფლებრივ შემეცნებას, — მაშინ, საბჭოს აზრით, გადაწყვეტილება ცხად უსამართლობა ს წარმოადგენს.

თუ ჩვენ ასე არ ვიგულისხმებთ სიტყვები „ცხადათ უსამართლოა“ და ვიფიქრებთ, რომ აქ საქმის არსებითად განხილვა შესაძლებელია, — იმ შემთხვევაში პირდაპირ გაუგებარი დარჩება კანონ-

მდებლობის მოქმედება. შარალაჲ, ~~ბუნ~~ ~~ცხად~~ ~~მდებ~~ ~~ბელი~~ ~~უფლებას~~ ~~აძლევა~~ ~~საბჭოს~~ ~~საქმეს~~ ~~არსებითად~~ ~~გაერჩია~~, რატომ ამდენს იწუხებდა თავს, რატომ ლაპარაკობდა, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დაბოლოებულია, საბჭო საკასაციო ინსტანციაა და სხვა. რა უშლიდა, პირდაპირ, გარკვევით აღეარებია, რომ მეორე ინსტანცია (საბჭო) აპელაციური წესით არჩევს საქმეს (თუმცა კი ეს სახალხო სასამართლოს წყობილებას ეწინააღმდეგებოდა). მაშინ, რასაკვირველია, საბჭო ორივე მხრივ — ფაქტიურად და იურიდიულათა — განიხილავდა საქმეს. შესაძლებელი იყო, მესამე ინსტანცია — საკასაციო — არც კი დაეარსებია კანონმდებელს: საბჭო, შემდგარი უფრო დახელოვნებული რურისტებისაგან, წარმოადგენდა ისეთ ინსტანციას, რომელიც საქმის იურიდიულ მხარესაც აწონ-დაწონიდა, ჯეროვნად შეათვსებდა. რუსეთის კანონმდებლობაში იყო ამისთანა მაგალითი, როდესაც სენატი საქმეს განარჩევდა, როგორც მეორე, აპელაციური, ინსტანცია, მის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი დაუშვებელი იყო. მაგრამ, რადგანაც საბჭო საკასაციო ინსტანციით ირიცხება დებულებაში, ის ასეთივე უნდა დარჩეს პირველი ინსტანციის ფორმის მიხედვით.

ახლა ვიკითხოთ, თუ რა დამოკიდებულება აქვს რუსეთის 25 ნოემბრის დეკრეტთან ჩვენ დებულებას. მაგრამ ამაზე შემდეგ.

დ. კვიციანი

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი :

თანახმად 63 მუხ., დეკრ. № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა სამმართველოს განყოფილებისა ამა წლის 28 აპრილ. ქ. თბილისის ალმას. კომიტ. მოქ. მდგომარ. აქტ. ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ ზოგიერთი ზარმუნის ძე მებურშიშვილმა შემოიტანა განცხადება გვარის და სახელის პოლიევქტი, შეცვლის შესახებ, მებურიშვილის — ნიკოლოზ მებურიშვილზე.

შორაპნის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მოქალიქეობრივი მდგომარეობის აქტებში ჩაწერი ქვეგანყოფილება, თანახმად № 28 დეკრეტის 62 და 63 მუხლებისა, ამით აცხადებს, რომ ქ. ზესტაფონში მცხოვრებთ მოქალაქეთ დავით და ივანე სპირიდონის ძე და თამარ სპირიდონის ასულმა ყიზილბაშებმა შემოიტანეს განცხადება მათი

გვარის „ვიზაჲბაშის“ „აბაშიძე“-ზე შეცვლას შესახებ.

შორაპნის სამაზრო აღმასკომის მ. მ. ა-ჩის ქვეგანყოფილების გამგე ა. აბაშიძე.

საქმის მწარმოებელი ნ. კედიკაძე.

ქ. თბილისის ალმას. კომ. მოქალაქ. მდგომარეობის ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ თანახმად 63 მუხ., დეკრ № 28 საქართველოს კომიტეტისა სამმართველოს განყოფილებისა ამა წლის 28 აპრ. ზაფხე სერგოს ძე ტერ-ზოგოზოვმა შემოიტანა განცხადება გვარის პოგოსოვზე შეცვლის შესახებ.

**დავაპრბე** უვადო პასპორტი, ძილებული ტფილისის პოლიცემისტერის კანცელარიიდან 1914 წელს პელაგია დიმიტრის ასულ პიატიბრატოვის სახელზე № 1812. ჩაითვალოს გაუქმებულად.



**დავპარბე** უვადო პასპორტი მიღებული 1917 წელს ტფილისის პოლიცემისტრის კანცელარიიდან ნატალია თევდორეს ასულ ივანგორდსკაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პირადობის მოწმობა № 531, მოცემული 1921 წ. რაქის მაზრის ბუგეულის თემის რეგკომისაგან სინა ზადიკას ძე მატარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პასპორტი მიღებული ტფილისის მეათე უბნის სამილიციო სამმართველოსაგან 1921 წელს და სარეგისტრაციო ბარათი მოცემული გრიგოლ ალექსის ძე კახაჩიანცის (იგივე კოჩინიანცის) სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პასპორტი მიღებული ხერსონის გუბერნიის ს. მარინის სათემო სამმართველოს მიერ 1912 წელს 20 იანვარს № 139 ტრადიცი თევდორეს ძე თხფრეაენკას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პასპორტი № 2161, მოცემული ალექსანდროპოლის მაზრის კომისარიატის მიერ მარტიანს შაკინტუმის ძე ვანკაიოზაიანს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პასპორტი მოცემული სოფ. ბედიას რეგკომისაგან ნესტორ ბაჭს ძე ტკებუჩავას სახელზე. გათხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

**დავპარბე** ნასყიდობის სიგელი (купчая крепость) შედგენილი ტფილისის ნოტარიუს კარაკაშის მიერ და დამტკიცებული ტფილისის საოლქო სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1920 წლის 5 ივნისს რეგისტრის № 1056, ჩემ მიერ ანანოვისა და ნაზარბეგოვის უძრავი ქონების შეძენის შესახებ, რომელიც მდებარეობს ტფილისში, ქუთაისის შესახვევი № 1. ვასილ ბეჟანის ძე ჩაიბაია.

**დავპარბე** პასპორტი, მოცემული ტბალოციის მილიციის უფროსისგან მარკაშ ვაგაქას ასულის ბიტანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პირადობის მოწმობა, მიღებული რაქის მაზრის სოფ. ფარახეთის თემის კომისარიატიდან 1920 წელს № 406 კირიდე იოსების ძე გქედიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** უვადო პასპორტი, მოცემული 1908 წელს კავკასიის ოლქის გზათა სამმართველოსაგან ალექსანდრე ეგორის ძე ეგეკოფის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** პირადობის მოწმობა, მიღებული 1920 წელს ფოთის მილიციის სამმართველოდან ალია მამიას ასულ ჩიხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** წლიური პასპორტი, მიღებული დონის ოლქის სტანიცა ბელორეჟსკის მილიციის სამმართველოსაგან 1921 წლის აგვისტოში—სოფიო დეშაიანის ასულ გუდასოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** უვადო პასპორტი, მიღებული 1910 წელს ტფილისის პოლიცემისტრის კანცელარიიდან ევგენი ილიას ძე თრდოვის სახელზე № 1396. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავპარბე** მოწმობა საზღვარ გარეთ გასასვლელ ნებართვის მისაღებათ მოცემული ს. ს. ს. რ. თინანთა სახალხო კომისარიატიდან ამა წლის 14 მარტს აშოთ არამის ძე კარაშინას სახელზე.

